სათემო მომსახურების და მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციართა, მათ შორის ბავშვების, დღიური თანხის ზრდა 16 ლარიდან 20 ლარამდე, ხოლო შშმ ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლების და დამოუკიდებელი ცხოვრების მომსახურების ფარგლებში ბენეფიციართა დღიური თანხის ზრდა 16 ლარიდან 30 ლარამდე;

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების ზრდა ნათესაური შშმ პირების - თვეში 300 ლარიდან 375 ლარამდე, რეგულარული - თვეში 450 ლარიდან 500 ლარამდე და რეგულარული შშმ პირების - თვეში 600 ლარიდან 900 ლარამდე. სულ ზრდა შეეხო 3700-მდე ბენეფიციარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის და ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის ხელშეწყობა და არსებული სერვისების მხარდაჭერა და გაძლიერება.

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება.

1.1.4

სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (პროგრამული კოდი 27 02 04)

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი შეღავათების დაფინანსება: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის – დანამატისა პენსიის 20%-ის ოდენობით; „სოციალური პაკეტი“ მიმღებთათვის – დანამატისა „სოციალური პაკეტი“ 20% ოდენობით; დანამატებისა მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით); აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50% (არაუმეტეს მოხმარებული 100

კვტ.სთ ელექტროენერჯის საფასურისა) ანაზღაურება.

1.1.5

სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 02 05)

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა;

მსხვერპლთა (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, სადღეღამისო და დღის მომსახურება და იურიდიული მხარდაჭერა, ასევე, ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციის, ეკონომიკური განვითარებისა და დამოუკიდებლად ცხოვრების პოტენციალის გაძლიერების ხელშეწყობა;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ხანდაზმულებზე და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე გრძელვადიანი ზრუნვა;

სახელმწიფო სოციალური სისტემის მეშვეობით ფონდის დაწესებულებებში ჩარიცხულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, სადღეღამისო მომსახურება და მოვლა, ასევე, ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციისა და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესების მხარდაჭერა.

1.2

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 27 03)

მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა;

გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (სოციალურად დაუცველთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურება; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა;

მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა: ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი; C ჰეპატიტის ელიმინაციის ხელშეწყობა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებით უზრუნველყოფა;

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის ამბულატორიული, სტაციონარული და სათემო სერვისებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და ტკივილის მართვის მიზნით მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა; ინდივიდუალური რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება; მიზნობრივი ჯგუფების ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

დონორების მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროგრამების ეტაპობრივად სახელმწიფოს

ვალდებულებებში ასახვა;

მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების, ასევე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება, დიპლომისშემდგომი განათლების რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა.

1.2.1 მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 27 03 01)

მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურების, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 27 03 02)

მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა; ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა: ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი; C ჰეპატიტის ელიმინაციის ხელშეწყობა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებით უზრუნველყოფა.

1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 27 03 02 01)

დაავადებათა ადრეული გამოვლენის გაუმჯობესება და ამის საშუალებით შორსწასული ფორმების გავრცელების შეზღუდვა;

ბუბუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი (ბუბუს კიბოს სკრინინგი - 40-დან 70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 25-დან 60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი - 50-დან 70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის, 50-70 წლის ასაკის მამაკაცებში სპეციფიკურ ანტიგენზე გამოკვლევა პროსტატის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით);

საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი (გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით);

1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა;

ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა;

დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტი, დღენაკლულთა სიბრმავის პროფილაქტიკა;

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში საინფორმაციო ელექტრონული რეგისტრების დანერგვა-ადმინისტრირება.

1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 27 03 02 02)

მოსახლეობის დაცვის და შესაბამისი მარაგების შექმნის მიზნით, ვაქცინების (მათ შორის აივ-ინფექცია/შიდსით და C ჰეპატიტით დაავადებული პირებისათვის B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციისათვის, ასევე სამედიცინო პერსონალის, სამედიცინო ჩვენების მქონე საქართველოს მოქალაქეების და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებული კონტინგენტის ვაქცინაციისათვის) და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა;

სპეციფიკური (ბოტულიზმის, დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო) შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა;

ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა;

გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა;

ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან რეგიონულ/რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებამდე;

წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში ეპიდჩვენებით იმუნოპროფილაქტიკის წარმოება;

გრიპის საწინააღმდეგო სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული პირების აცრა;

„ცივი ჯაჭვი“-ს მოწყობილობების/ინვენტარის შესყიდვა და მონტაჟი.

1.2.2.3

ეპიდზედამხედველობა (პროგრამული კოდი 27 03 02 03)

რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრების მიერ ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირება;

მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების სამოქმედო არეალზე ეპიდზედამხედველობითი ღონისძიებების განხორციელება;

მალარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) პარაზიტული დაავადებების პრევენცია და კონტროლი;

ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა და კონტროლი;

ვირუსული დიარეების კვლევა ქვეყანაში შერჩეული საყრდენი ბაზებიდან (ინფექციური პროფილის მქონე სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მომსახურებას უწევს 0-14 წლის ასაკის ბავშვებს), ჰოსპიტალიზებულ ბავშვთა (0-14 წლის) ფეკალური სინჯების ლაბორატორიული კვლევა როტავირუსულ, ადენოვირუსულ და ნოროვირუსულ ინფექციებზე;

გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება.

1.2.2.4

უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 27 03 02 04)

დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და სიფილისზე;

ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა (მ.შ. სისხლის დონორთა ერთიანი ეროვნული ელექტრონული ბაზის ადმინისტრირებას პროგრამაში

მონაწილე სისხლის ბანკებში და ასევე ყველა დანარჩენ სისხლის ბანკში, რომელიც ფლობს შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიას, არ არის პროგრამით განსაზღვრული სერვისების მიმწოდებელი, მაგრამ თანხმობას განაცხადებს ამ კომპონენტში მონაწილეობაზე და დარეგისტრირდება პროგრამის განმახორციელებელთან დადგენილი წესის შესაბამისად;

სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელება, მ.შ. "უანგარო დონორთა მსოფლიო დღესთან" დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა;

სისხლის დონორებში C ჰეპატიტზე სკრინინგით საექვო-დადებითი შემთხვევების კონფირმაციული კვლევა Cor-Ag მეთოდით, მ.შ. იმ სისხლის ბანკებში რომლებიც არ წარმოადგენენ ამ პროგრამის მომსახურების მიმწოდებლებს, მაგრამ ჩართულნი არიან ხარისხის გარე კონტროლის ერთიან სისტემაში.

1.2.2.5

საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 03 02 05)

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა;

სხვადასხვა ტიპის საწარმოებში დასაქმებულთა პროფესიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება, კერძოდ: დასაქმებულთა პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით და გამოვლენილ პროფესიულ დაავადებათა დიაგნოზების აგრეგირებას მონაცემთა ბაზაში; სამუშაო ადგილებზე არსებული პროფესიული რისკების ინვენტარიზაცია და შეფასება; პროფესიული რისკფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების რეკომენდაციების შემუშავება კონკრეტული საწარმოსათვის; დასაქმებულთა ჯანმრთელობის მონიტორინგის ოპტიმალური სქემისა და სამედიცინო შემოწმების პერიოდულობის განსაზღვრა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით; საწარმოს ადმინისტრაციისა და დასაქმებულთა სწავლება პროფესიული დაავადებების პრევენციის, პროფესიული რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების საკითხებზე; ქვეყნის მასშტაბით კონკრეტულ საწარმოებში არსებული პროფესიული რისკების ეპიდემიოლოგიური რუკისა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის ფორმირება/განახლება.

1.2.2.6

ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 02 06)

ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ);

ლაბორატორიული მართვა;

ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება;

სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მ.შ. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ახალი მედიკამენტებით და მკურნალობის მონიტორინგი);

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მ.შ. პირველი და მეორე რიგის (სრული რაოდენობის არანაკლებ 50%) ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების შესყიდვა; მომსახურების სრულად ანაზღაურება;

ტუბერკულოზით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობის და ინფექციის გავრცელების შემცირება.

1.2.2.7

აივ ინფექცია/შიდსის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 02 07)

აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამა არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან);

აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება;

აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა;

აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის და მეორე რიგის (სრული ღირებულების არა უმეტეს 50%) მედიკამენტების შესყიდვა.

1.2.2.8

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 27 03 02 08)

ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით:

ანტენატალური მეთვალყურეობა;

გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა;

ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ ინფექციის/შიდსის და ათაშანგის სკრინინგი; ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე;

ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა.

1.2.2.9

ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 27 03 02 09)

ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა;

ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება.

1.2.2.10

ჯანმრთელობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 03 02 10)

ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება;

ჯანსაღი კვების და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა;

C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა;

ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ნივთიერება დამოკიდებულების პრევენცია;

ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება.

1.2.2.11

C ჰეპატიტის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 02 11)

სკრინინგული კვლევა, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა, მათ შორის, მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა; C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით (ჰარვონი, რიბავირინი) უზრუნველყოფა; მედიკამენტების ლოჯისტიკა.

1.2.3

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 27 03 03)

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა;

დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება;

თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა;

რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა;

თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება;

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.3.1

ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 27 03 03 01)

მოსახლეობისთვის ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება;

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;

ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია;

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება;

ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა.

1.2.3.2

დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 03 02)

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება;

სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება;

შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია.

1.2.3.3

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 27 03 03 03)

18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური პაციენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა;

1.2.3.4

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 27 03 03 04)

ჰემოდიალიზით და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა;

ჰემოდიალიზისა და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება;

თირკმლის ტრანსპლანტაცია;

ორგანოგადანერგითა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.3.5

ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 27 03 03 05)

ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა;

ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა;

ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.3.6

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 27 03 03 06)

იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება;

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება;

ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.2.3.7

სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 27 03 03 07)

სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;

სასწრაფო, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.2.3.8

სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 27 03 03 08)

პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა);

სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება;

შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება;

სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა;

სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა.

1.2.3.9

რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 27 03 03 09)

სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო

დახმარების გაწევა;

მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

1.2.3.10

თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 27 03 03 10)

თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება და მათთვის დამატებითი გამოკვლევების ჩატარება

1.2.3.11

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 03 03 11)

გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა, დიაბეტის (ტიპი 2) და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა;

ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა პროგრამის მოსარგებლებზე.

1.2.4

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 27 03 04)

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებსა და მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ამ მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში ადამიანური რესურსის მომზადების საშუალებით;

პროფესიული რეგულირების არსებული მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა.

1.3

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 27 01)

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მარეგულირებელი აქტების მომზადება და ზედამხედველობა;

სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი;

სამკურნალო საშუალებების ხარისხზე, მათ მიმოქცევასა და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა;

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი;

სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;

საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების შეუფერხებელი მიწოდება;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა. ასევე, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა/ბავშვთა მოვლა-

პატრონობა გრძელვადიან პერიოდში;

საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა;

ქვეყანაში შრომის ბაზრის პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა;

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, ეკომიგრანტთა და მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

1.4 სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 27 04)

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;

სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა და აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.

1.5 სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 37 00)

ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო - უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა;

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისათვის ღირსეული სათანადო პირობების შექმნა;

სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა მიმართ საზოგადოებაში ხსოვნის განმტკიცებისათვის მუდმივი ზრუნვა;

ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა;

საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლის და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება;

1.6 შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 27 05)

ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება;

შრომის ბაზარზე, შრომის კანონმდებლობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა; შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა;

სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია-კონსულტირება, მომსახურებების განვითარება, შეზუღედული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა;

ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების მომზადება-გადამზადება, მათ

შორის, ქალთა მონაწილეობის უპირატესობის გათვალისწინებით.

1.7

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 05)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობისა და შრომისუუნარობის რაოდენობათა შემცირება;

სამედიცინო ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა;

საჭიროების შემთხვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზება;

სამინისტროს სისტემაში სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა კონტროლი;

სამინისტროს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

1.8

სსიპ - საპენსიო სააგენტო (პროგრამული კოდი 21 00)

დაგროვებითი საპენსიო სქემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

საპენსიო აქტივების განკარგვა კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით, როგორც ნდობითი ვალდებულების მქონე პირი, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების ინტერესების შესაბამისად;

დაგროვებითი საპენსიო სქემის ანალიზი, რისკების შეფასება, დაგროვებითი საპენსიო სქემის განვითარებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხედვის ჩამოყალიბება და რეკომენდაციების მომზადება;

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელება, მართვა და ადმინისტრირება.

1.9

ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი (პროგრამული კოდი 39 00)

საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მოძიება და პრიორიტეტული სოციალური საჭიროებებისათვის მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით;

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების, აგრეთვე რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 22 წლამდე ბენეფიციართა მხარდაჭერა სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების ლიმიტის ფარგლებს გარეთ მოხვედრილი თერაპიისა და დიაგნოსტიკის შემთხვევაში, აგრეთვე ძვირად ღირებული დიაგნოსტიკური მომსახურება და მკურნალობა საზღვარგარეთ დადასტურებული სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში; ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოზრდილთათვის ძვირად ღირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

საქართველოს სჭირდება დაბალანსებული, ადაპტირებადი, საკმარისი საბრძოლო ძალის მქონე, მოქნილი, მდგრადი და მობილური შეიარაღებული ძალები, რომლებიც თავსებადია ნატოს საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობისთვის, უზრუნველყოფს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერას სტიქიური და ტექნოგენური უბედურების დროს, ადეკვატურად პასუხობს როგორც საზღვრებიდან მომდინარე თავდასხმის საფრთხეებს, ისე პირდაპირ სამხედრო აგრესიას. არსებული უსაფრთხოების გამოწვევების შესამცირებლად მნიშვნელოვანია თავდაცვის სისტემის სრული ტრანსფორმაცია და ისეთი თავდაცვითი შესაძლებლობების შექმნა,

რომელიც ეკონომიკური და დიპლომატიური შეკავების ფაქტორებთან თანაფარდ სამხედრო შესაძლებლობებს განავითარებს და ამგვარად, საკმარისი შეკავების ფაქტორის შექმნით, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას შეძლებს. ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანებისკენ განუხრელი სწრაფვა სწორედ ამ მიზნის თანაზომიერია. ძლიერი და ეფექტიანი თავდაცვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს და განახორციელებს 4-წლიან პროგრამას, რომელიც გახდება ქვეყნის თავდაცვის ახლებური ხედვის ცხოვრებაში გატარების სტრატეგიული გეგმა და საფუძვლად დაედება სამხედრო ძალების ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესს. აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაეფუძნება სამხედრო სფეროში დღემდე არსებულ მიღწევებს, შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე წარმატებულ პროგრამებს, ნატო-საქართველოს ერთობლივ პროექტებს, აგრეთვე სამხედრო ძალების რეფორმირების პრინციპულად ახალ ხედვებს, რომლებიც განვითარდება შემდეგი 5 მიმართულებით, ესენია:- სტრატეგია და მართვა - თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემების ინტეგრირების ხარისხის გაზრდა რესურსების პრიორიტეტული მიმართულებებით ეფექტიანად მიმართვის და გადანაწილების მიზნით;- ძალების ოპტიმიზაცია - სამხედრო შესაძლებლობების დაბალანსებული ერთიანობის შექმნა, რაც განაპირობებს ქვეყნის უსაფრთხოების ამოცანების შესრულებას;- ძალების მზადყოფნა - კრიტიკულ ფაქტორებზე ფოკუსირება სისტემური განვითარების მიმართულებით: პერსონალი, აღჭურვილობა, განათლება- წვრთნები და მდგრადობა;- ინსტიტუციური რეფორმები - თავდაცვის სამინისტროს მართვის მექანიზმების თანამიმდევრული დახვეწა შეიარაღებული ძალების ოპერატიული მოთხოვნების ქმედითი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;- საერთაშორისო ჩართულობა - სამხედრო შესაძლებლობების, აგრეთვე ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ძალებთან თავსებადობის გაზრდის მიზნით, საერთაშორისო პროგრამებსა და აქტივობებში მონაწილეობა.სასჯელაღსრულების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:- სულ უფრო მეტი მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული განათლება; შესაძლებელი გახდება უმაღლესი განათლების მიღება დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში; მსჯავრდებულთათვის შეიქმნება დასაქმების ახალი კერები; გაძლიერდება პატიმართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, მათ შორის, სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაციის პროგრამები;- დაინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის, რომლის აღსრულების კონტროლი განხორციელდება ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით; მოხდება შინაპატიმრობის გამოყენება პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესშიც;- დაინერგება ახალი არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება - წინა სასამართლო პრობაცია, რაც საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეამცირებს წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების რაოდენობას;- გაგრძელდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია დაბალი, საშუალო, მომეტებული და მაღალი რისკის კატეგორიებად, რაც ხელს შეუწყობს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალურ სუბკულტურასთან ეფექტიან ბრძოლას, მსჯავრდებულთა შორის ძალადობის მინიმუმამდე შემცირებას და, საბოლოოდ, განმეორებითი დანაშაულის რისკის შემცირებას;- შეიქმნება ახალი პენიტენციური დაწესებულება, რომელიც გათავისუფლებისათვის მოამზადებს დაბალი და საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებულს;- გაგრძელდება სასჯელის აღსრულება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;- გაგრძელდება პენიტენციური დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია;- გაგრძელდება პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერებისა და ინფრასტრუქტურული განვითარების ხელშეწყობა. მუშაობა გაგრძელდება პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისათვის;- გაუმჯობესდება პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებული პროცედურები, დაიხვეწება უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა გათავისუფლების მექანიზმი; გაუმჯობესდება ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების მექანიზმი.პროკურორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, დაიხვეწება პროკურორთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის, გათავისუფლებისა და წახალისების (მათ შორის დაწინაურების) სისტემა. შემუშავდება პროკურორთა საქმიანობის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შეფასების კრიტერიუმები. გაგრძელდება პროკურორთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები;შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საპოლიციო საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობისთვის დაინერგება ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის სისტემა.გაგრძელდება კრიმინალური პოლიციის მოდერნიზაცია ქვეყნის მასშტაბით, გაიზრდება ტექნოლოგიების როლი საპოლიციო საქმიანობაში, რაც გაძლიერებს დანაშაულის პრევენციის მიმართულებას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გამოძიების ხარისხსა და

განავითარებს პოლიციის შესაძლებლობებს განხორციელდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც ქვეითთა, მგზავრებისა და მძღოლების უსაფრთხოების ამაღლებას მოემსახურება და შეამცირებს გზებზე უბედურ შემთხვევებს. ტექნოლოგიების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზრდება საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების სფეროშიც. დაგეგმილ ვადებში დასრულდება საზღვრის მართვის სისტემის რეფორმა, რაც უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზაციას, სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციას. დასრულდება საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს ქმედით კოორდინაციასა და სწრაფ რეაგირებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არალეგალურ მიგრაციას და მასთან დაკავშირებული რისკების მართვას, ამ კუთხით სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებასა და სხვა უწყებებთან კოორდინაციის ამაღლებას. გაღრმავდება თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან, განსაკუთრებით კი ევროპოლთან. პოლიციის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ჩამოყალიბდება ადამიანური რესურსების მართვის ქმედითი სისტემა, რათა კარიერული წინსვლა დაეფუძნოს ობიექტურ კრიტერიუმებს, დამსახურებასა და კვალიფიკაციას. გაგრძელდება მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი მომსახურების უფრო მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ხარისხის ამაღლების, აგრეთვე ამ სფეროს შემდგომი განვითარებისა და მოქალაქეებისთვის დამატებითი მომსახურების სახეების შეთავაზების მიზნით. უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დამოუკიდებელი და ქმედითი საქმიანობა.

2.1 საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერება;

ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სამართალდამცავი უწყების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, დანაშაულზე სწრაფ რეაგირებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მართლწესრიგს და ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ფაქტების გამოვლენას;

ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა.

2.2 თავდაცვის მართვა (პროგრამული კოდი 29 01)

საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკის მხარდასაჭერად თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ეფექტიანი ადმინისტრირების განსახორციელებლად თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული მართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განსაზღვრა;

ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ღონისძიებების ჩატარება პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ნატო, ევროკავშირი, ეუთო, გაერო);

თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერა, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ორგანიზება, შეიარაღების კონტროლის და ვერიფიკაციის ღონისძიებების განხორციელება;

თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

2.3 ლოგისტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 09)

ლოგისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობების შენარჩუნება/გაუმჯობესება, ლოგისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, საქართველოს თავდაცვის მხადყოფნის პროგრამისათვის (GDRP) საჭირო ლოგისტიკური ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა;

2.4 **საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 26 02)**

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და შესაბამის ღონისძიებების გატარება.

2.4.1 **პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 26 02 01)**

პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა;

პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვა;

ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია (მსჯავრდებულთა შრომაში და პროფესიული/სახელობო, სარეაბილიტაციო სატრენინგო/საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის შესაძლებლობის გაზრდით).

2.4.2 **ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 02 02)**

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა სამკურნალო საშუალებებით, მათთვის სპეციალირებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციური სისტემის შიგნით და მის გარეთ.

2.4.3 **პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 26 02 03)**

პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებების რემონტი-რეკონსტრუქცია და აღჭურვა შესაბამის მანქანა-დანადგარებით მათი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით.

2.5 **თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება (პროგრამული კოდი 29 08)**

ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის ძალების მზადყოფნა შესაძლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად;

რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობის მიღება;

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე და ეროვნული სამხედრო სტრატეგიით განსაზღვრული სამხედრო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, საქართველოს თავდაცვის ძალების თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება;

საქართველოს თავდაცვის ძალების თანამედროვე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შენარჩუნება, მოდერნიზაცია და განვითარება;

2.6 **სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 20 01)**

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;

სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა;

ტერორიზმთან ბრძოლა;

სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი.

2.7 სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 06)

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ფუნქციონირების კოორდინირება;

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება;

საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა;

მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;

ახელმწიფო რეზერვების მარაგების შენახვა და მატერიალურ ფასეულობებთან გათვალისწინებული ოპერაციების წარმოების უზრუნველყოფა;

კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო რეზერვების სისტემის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა;

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების უზრუნველყოფა და განვითარება.

2.8 სახელმწიფო საზღვრის დაცვა (პროგრამული კოდი 30 02)

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა;

ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი.

2.9 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთათვის, პენსიონერებისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის, სამოქალაქო პირებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა (ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანხერიზაცია);

დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებების გატარება, ფიზიკური რეაბილიტაციის და პროთეზირების პროგრამის განხორციელება; საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური მხარდაჭერის ხელშეწყობა;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის (სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეები) და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფა;

სამედიცინო მხარდაჭერის როლი 2 დონის ჩამოყალიბება და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების სამედიცინო ავტოტექნიკით დაკომპლექტება, ხარჯვადი სამედიცინო მარაგების შევსება, აგრეთვე მოძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ეტაპობრივი ჩანაცვლება-განახლება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა.

2.10 პროფესიული სამხედრო განათლება (პროგრამული კოდი 29 02)

მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოყალიბების მიზნით, ეფექტიანი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების განხორციელებით, კადეტებისათვის ზოგადი განათლების და დაწყებითი სამხედრო მომზადების უზრუნველყოფა;

სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, გამოცდილების გაზიარების ფორმატის შეხვედრებისა და კონფერენციების ჩატარება კადრების პროფესიული გადამზადების მიზნით;

სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება;

თანამედროვე თავდაცვის ძალების ჩამოყალიბების მიზნით პროფესიული განვითარების სასწავლო კურსების ჩატარება ქვეყნის გარეთ, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მოსამსახურეთათვის.

2.11 საერთაშორისო სამშვიდობო მისიები (პროგრამული კოდი 29 06)

ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ნატოს ეგიდით წარმოებულ „მტკიცე მხარდაჭერის მისიასა“ (RSM) და „ნატოს რეაგირების ძალებში“ (NRF) მონაწილეობა.

ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა - EUTM RCA და მალის რესპუბლიკა - EUTM Mali) მონაწილეობა;

საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების (საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქვედანაყოფების პერსონალის საზღვარგარეთ მივლინების, იმუნიზაციის, სამედიცინო და სანიტოე ქონების შეძენის და ინტერნეტის მომსახურების ხარჯების) დაფინანსება და გადასროლისწინა მომზადებისთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენა, ჯარისკაცების აღჭურვილობის უზრუნველყოფა.

2.12 საქართველოს პროკურატურა (პროგრამული კოდი 33 00)

იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის გამოძიებისა და საპროცესო ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობა, აღნიშნული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელოს შემუშავება;

ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება;

ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება

და სისხლისსამართლებრივი დევნა;

პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსისა და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების შემუშავება, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების კონკრეტიზაცია;

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების დახვეწა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაცია;

პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მასმედიასთან ურთიერთობის ეფექტური მექანიზმების შექმნა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების სრულყოფა;

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა;

დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების შექმნა; პროკურატურის ცნობადობის ამაღლება და როლის გაზრდა დანაშაულის პრევენციის (მათ შორის, „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტით) პროცესში;

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორთა გადამზადება; არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა, არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის, საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო პრაქტიკაში დანერგვის, განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეების პრაქტიკაში სწორი იმპლემენტირებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის გზით;

თანმიმდევრული, კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობისა და საერთო მიდგომების დანერგვის მიზნით პროკურატურისა და სხვა საგამომძიებო უწყებების/მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება.

2.13 სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (პროგრამული კოდი 29 07)

ენერგოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გადრმავევა, საწარმოო ბაზის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, თავდაცვის ძალებში არსებული შეიარაღების და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება და აღდგენა;

მრეწველობის და მათ შორის, მანქანათმშენებლობის რიგი დარგების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური პროცესების კვლევა და ოპტიმიზაცია;

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების მიზნით, თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევების განხორციელება;

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა-მშენებლობა და ექსპერიმენტალური მოდელების შექმნა შემდგომში ექსპორტის გაზრდის მიზნით.

2.14 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 29 05)

თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე განთავსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება, კერძოდ: სამხედრო ქალაქების ფუნქციონალური ზონების განვითარება-რეაბილიტაცია; ახალი სამხედრო ობიექტების მშენებლობა; საინჟინრო კომუნიკაციების და ქსელების რეაბილიტაცია;

2.15 ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების

დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (პროგრამული კოდი 24 10)

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;

კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა;

ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;

აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს მიერ სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში აღებული ვალდებულების შესრულება, კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად აღებული ვალდებულების შესრულება რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ევროპის კომისიის რეგულაციის აღსრულება;

სარკინიგზო არაკომერციული მარშრუტების სუბსიდირება;

ქვეყნის მასშტაბით მგზავრთა საჰაერო გადაყვანა რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის.

2.16 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება.

საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების თავის არიდების ფაქტების აღკვეთის მიზნით. პრევენციული ღონისძიებების გატარება დანაშაულის ჩადენის აღკვეთის მიზნით.

საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა.

2.17 ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 20 02)

უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ამ მიზნით სხვადასხვა ღონისძიებათა განხორციელება;

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკურ ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;

სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარება და სასაზღვრო გამტარი პუნქტების საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა.

2.18 ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება

(პროგრამული კოდი 30 03)

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირება, დადებული ხელშეკრულებებისა და სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, დასაცავი ობიექტების დაცვის ხარისხის ამაღლება, ციფრული კავშირგაბმულობისა და ობიექტების თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა;

კონტროლი კერძო დაცვით საქმიანობაზე;

ავტოპარკის მუდმივი განახლება;

ინფრასტრუქტურის მუდმივი რეაბილიტაცია.

2.19 მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (პროგრამული კოდი 29 04)

კომპიუტერული შესაძლებლობების განვითარება, ცნობიერების ამაღლება და ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება. თავდაცვის სამინისტროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების განვითარება თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდასაჭერად. კავშირგაბმულობის სერვისების, ინტერნეტისა და საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფა. საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა;

საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ხარისხის გაზრდა. ასევე დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა;

ERP სისტემის მოდულებისა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რაც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის, ფინანსების, აქტივების, ლოგისტიკური და სხვა პრიორიტეტული ბიზნეს პროცესების ელექტრონული სააღრიცხვო სისტემების შემუშავებას და დანერგვას.

2.20 დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (პროგრამული კოდი 26 06)

ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია და დანაშაულის პრევენცია საქართველოში, მათ შორის დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, რისკ ჯგუფებთან მუშაობა და დანაშაულის პირველად პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;

დანაშაულის გამომწვევი რისკფაქტორების შემცირების მიზნით ბენეფიციარების ფსიქოსოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ყოფილი პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება; შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციების გაწევა, განრიდება-მედიაციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, საგრანტო პროგრამების საშუალებით დეფიციტური სერვისების მიწოდება და მათი შემდგომი განვითარება, არასრულწლოვნებში დანაშაულის პირველადი პრევენციის მიზნით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოხალისეობის განვითარება და სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების დონის ამაღლება;

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება; სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა; მსჯავრდებულთათვის სასჯელის სახედ - შინაპატიმრობის სრულყოფილი აღსრულება - ელექტრონული მონიტორინგის სისტემის საშუალებით.

რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საქართველოს რეგიონების განვითარების, საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში საქართველოს მაქსიმალური ინტეგრირებისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და სატვირთო გადაზიდვების მზარდი დინამიკის გათვალისწინებით, მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის სივრცითი მოწყობის კომპონენტის ფარგლებში, გაგრძელდება და სწრაფი ტემპით წარიმართება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება. ქვეყნის მასშტაბით აშენდება საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო და რეგიონების დამაკავშირებელი შიდა საავტომობილო გზები. საფუძველი ჩაეყარა საუკუნის პროექტს - ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობას, რომელიც არა მხოლოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაზე, არამედ გაზრდის საქართველოს როლს რეგიონში და აქცევს მას ლოგისტიკურ ჰაბად. მომავალში გაგრძელდება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის ხელშეწყობა ხარისხიანი სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით მოსახლეობის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნის მიღწევა ეტაპობრივად განხორციელდება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2020 წლისთვის, 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით 360 ათასი ადამიანი. აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგება-კანალიზაციის და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და უახლოეს მომავალში დასრულდება წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები პანკისის ხეობის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტების საზღვრისპირა სოფლებში, რის შედეგადაც 20 ათასამდე ადამიანისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სასმელი წყლის მიწოდების ხარისხი. ნარჩენების მართვა განხორციელდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუმჯობესდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისები; მოხდება არსებული ნაგავსაყრელების ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა და ეტაპობრივი დახურვა; ევროსტანდარტების გათვალისწინებით მოეწყობა ახალი რეგიონალური სანიტარიული ნაგავსაყრელები; დაინერგება ნარჩენების სეპარირების და გადამუშავების სისტემები. ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში აშენდება 8000-კილომეტრიანი ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც დამატებით 800 ათასი ადამიანი მიიღებს ინტერნეტს და ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ექნება ინტერნეტთან წვდომა. საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიმართულებაა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება, იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისების, მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციის გზით. საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით. გაგრძელდება ელექტრიფიკაციისა და გამრიცხველიანების პროცესი, სადაც განსაკუთრებული აქცენტი უშუქო სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებზე გაკეთდება. ენერგეტიკული პოლიტიკის ეფექტიანად წარიმართვის მიზნით იგეგმება: - იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალური ათვისების გზით; - ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების ხელშეწყობა; - განვითარდება ინფრასტრუქტურა გაზისა და ელექტროენერჯის უსაფრთხო და სტაბილური გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის შესაქმნელად; ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები. ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა და მისი, როგორც პრიორიტეტული დარგის, შემდგომი განვითარებისთვის საქართველოს მთავრობა განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: - მოწესრიგდება და განვითარდება საგზაო ინფრასტრუქტურა, კეთილმოეწყობა კულტურულ ძეგლებთან და სხვა ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზები, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის სტიმულირებას; - გააქტიურდება მარკეტინგული აქტივობები მიზნობრივ და პოტენციურ ბაზრებზე, რაც ხელს შეუწყობს მეტი უცხოელი ტურისტისა და, შესაბამისად, მეტი შემოსავლის მოზიდვას ქვეყანაში; - მოხდება დაცული ტერიტორიების გაფართოება და ეკოტურიზმის ხელშეწყობა, რაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა; - ხელი შეეწყობა ტურიზმის სხვადასხვა ტიპის განვითარებას (მათ შორის, სამედიცინო, სპორტული, ღვინის და სხვ.); - ტურიზმის პოლიტიკაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იქნება საქართველოს გადაქცევა ოთხი სეზონის ტურისტულ ქვეყნად, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღებას და წლის განმავლობაში მათ სტაბილურ განაწილებას; - ზამთრის

კურორტების შემდგომი განვითარება მოხდება გააზრებული განვითარებისა და განაშენიანების გეგმების მიხედვით, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება კურორტების ზაფხულის განმავლობაში დატვირთვის შესაძლებლობები;- ხელი შეეწყობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მარკეტინგის კუთხით- აქტიურად გაგრძელდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც შემუშავებულია თითოეული რეგიონისათვის. ასევე ხორციელდება „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონალური განვითარების პროგრამა“. ზემოაღნიშნული მიდგომების შესაბამისად, მთავრობა შეიმუშავებს მომდევნო, 2018-2020 წლების რეგიონალური განვითარების პროგრამას, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის შემდგომი ხელშეწყობისკენ.- მთავრობა აგრეთვე გააგრძელებს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას, ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობას, მაღალმთიან დასახლებებში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე და იქ მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე ზრუნვას.

3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 02)

საქართველოს საგზაო ქსელის ინტეგრირება საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში;

ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, ავტოსატრანსპორტო დერეფნის განვითარება და საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობის ზრდა;

სახელმწიფოთაშორისო და რეგიონთაშორისო ავტოსაგზაო კავშირების გაუმჯობესება;

მოსახლეობის გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის, ინტენსიური ავტომობილიზაციის დონისა და გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების დონესთან საავტომობილო საგზაო ქსელის განვითარების ტემპების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

3.1.1 საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 25 02 01)

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.

3.1.2 საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია; რაიონულ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან ასევე, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება.

3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

აშენებული/რეაბილიტირებული ჩქაროსნული ავტომაგისტრალები, გაუმჯობესებული ავტოტრანსპორტისა და მგზავრთა უსაფრთხო/ შეუფერხებელი გადაადგილება საავტომობილო გზებზე.

3.2 რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა;

სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, სამხედრო, პოლიციური და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;

ნაპირდაცვითი სამუშაოების უზრუნველყოფა;

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოს საოპერაციო ხარჯებისა და შესაბამისი ფუნქციური დავალებების შესასრულებლად წარმოებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა;

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად საჭირო დონისძიებების გატარება, საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და ანალიზი.

3.3 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)

მუნიციპალიტეტებში მოსახლეობისა და დაწესებულებების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა (კომპეტენციის ფარგლებში); საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია (კომპეტენციის ფარგლებში); მუნიციპალიტეტებში წყალსადენების სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (კომპეტენციის ფარგლებში); ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (კომპეტენციის ფარგლებში).

3.4 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 24 14)

ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა;

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა.

3.4.1 ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი (პროგრამული კოდი 24 14 01)

აჭარა-გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება („პალიასტომი 1,2“ ხაზების დარეზერვირება);

აჭარის პესპექტიული ჰესების ქსელში მაღალი ხარისხით ინტეგრირება;

საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლათფორმა „SCADA/EMS“ სისტემის განახლება;

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების სცენარების გარემოსდაცვითი და სოციალური სტრატეგიული შეფასება.

3.4.1.1 220 კვ ხაზის "ახალციხე-ბათუმი" მშენებლობა (ADB, IBRD, WB) (პროგრამული კოდი 24 14 01 01)

220კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა;

საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლათფორმა „SCADA/EMS“ სისტემის განახლება;

აჭარა-გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება („პალიასტომი 1,2“ ხაზების დარეზერვირება);

აჭარის პესპექტიული ჰესების ქსელში მაღალი ხარისხით ინტეგრირება.

3.4.2 საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა (პროგრამული კოდი 24 14 02)

ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

მიმდინარე „ქსანი-სტეფანწმინდა“ 500 კვ ეგხ-ის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება;

მიმდინარე „ჯვარი-ხორგა“ 500/220კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება.

3.4.2.1

500 კვ ეგხ-ის "ქსანი-სტეფანწმინდა" მშენებლობა (EBRD, EC, KfW, WB) (პროგრამული კოდი 24 14 02 01)

500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“ მშენებლობა;

რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანის სატრანზიტო პოტენციალის საიმედო რეალიზაცია;

არსებული 500 კვ ძაბვის ხაზის „კავკასიონის“ (საქართველო-რუსეთი) დარეზერვირება;

მდ. თერგის ჰესების ქსელში ინტეგრირება.

3.4.2.2

ელექტროგადამცემი ხაზი "ჯვარი ხორგა" (EBRD, EC, KfW, WB) (პროგრამული კოდი 24 14 02 02)

აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარისა და გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება („ეგრისი 1,2“ ხაზების დარეზერვირება);

ბათუმის (აჭარა) რეგიონში ძაბვის პრობლემის აღმოფხვრა, რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლება და არსებული პერსპექტიული სადგურებიდან სიმძლავრის გამოტანის საიმედოობის ამაღლება.

3.4.3

რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (პროგრამული კოდი 24 14 03)

ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა;

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა;

500კვ ორჯაჭვა ეგხ-ის „წყალტუბო-ახალციხე“ მშენებლობის დაწყება;

„ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ პროექტის განხორციელების დაწყება;

500კვ ერთჯაჭვა ე.გ.ხ-ის „ჯვარი-წყალტუბო“ მშენებლობის განხორციელება.

3.4.3.1

500 კვ ეგხ "წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი" (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 03 01)

500 კვ მაგისტრალის „ენგური-ზესტაფონი-ახალციხის“ (ეგხ „იმერეთი“ და ეგხ „ზეკარი“) დარეზერვირება;

ხუდონი-ენგურის კვანძიდან სიმძლავრის გატანის უსაფრთხოება თურქეთსა და საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონისკენ (სომხეთისკენ);

რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ ჰესების სიმძლავრის ევაკუაცია: ნენსკრაჰესის, ენგურის და მისი შენაკადების ჰესების, ცხენისწყლის კასკადის, ნამახვანის კასკადის და ხელედულაჰესის სიმძლავრის გამოტანა ქსელში და ტრანზიტი მომხმარებლებისკენ (თბილისი-რუსთავის კვანძი) და საექსპორტოდ (სომხეთისა და თურქეთისკენ). საქართველო-თურქეთს შორის სიმძლავრის მიმოცვლის უნარისა და საიმედოობის გაზრდა;

ეგხ „ახალციხე-ბორჩხა“-ს დარეზერვირება.

3.4.3.2

ჩრდილოეთის რგოლი (EBRD), ნამახვანი - წყალტუბო - ლაჯანური(EBRD) (პროგრამული კოდი 24 14 03 02)

მესტიის რეგიონის ჰესების სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობა;

მდინარე ნენსკრას შენაკადების, ნენსკრაჰესის, ნამახვანის კასკადიდან სიმძლავრის გამოტანა;

ლაჯანურის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლება.

3.4.3.3

500 კვ ეგზ ჯვარი-წყალტუბო (WB) (პროგრამული კოდი 24 14 03 03)

500 კვ მაგისტრალის „ენგური-ზესტაფონი-ახალციხის“ (ეგზ „იმერეთი“ და ეგზ „ჯეკარი“) დარეზერვება;

ხუდონი-ენგურის კვანძიდან სიმძლავრის გატანის უსაფრთხოება თურქეთსა და საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონისკენ (სომხეთისკენ); რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ ჰესების სიმძლავრის ევაკუაცია: ნენსკრაჰესის, ენგურის და მისი შენაკადების ჰესების, ცხენისწყლის კასკადის, ნამახვანის კასკადის და ხელედულაჰესის სიმძლავრის გამოტანა ქსელში და ტრანზიტი მომხმარებლებისკენ (თბილისი-რუსთავის კვანძი) და საექსპორტოდ (სომხეთისა და თურქეთისკენ). საქართველო-თურქეთს შორის სიმძლავრის მიმოცვლის უნარისა და საიმედოობის გაზრდა;

ეგზ „ახალციხე-ბორჩხა“-ს დარეზერვება.

3.4.3.4

გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 03 04)

გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება;

გურიის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლება;

მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრის გამოტანის საიმედოობის ამაღლება;

ბათუმის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლება;

ეგზ „ახალციხე-ბორჩხა“-ს დარეზერვება.

3.4.3.5

კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 03 05)

კახეთის რეგიონში პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება;

კახეთის და დუშეთის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლება.

3.4.3.6

ხელედულა-ლაჯანური-ონი (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 03 06)

ცხენისწყლის კასკადის ჰესების და ხელედულაჰესის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობა;

ონის ჰესების კასკადის და რაჭის ჰესების სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობა.

3.5

ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 07)

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია;

3.6

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზარზე;

ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება და არსებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია (მარშუტების შემუშავება, პროდუქტის ბექდური-საინფორმაციო მასალის მომზადება);

მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

ტურისტებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება;

პროექტ „Check in Georgia“-ს ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა.

3.7 მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 24 15)

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზისა და ელექტროენერჯის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება და ელექტროფიცირება;

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობისთვის გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი ანაზღაურება.

3.8 მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი 25 05)

მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა;

ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა.

3.9 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD,EIB,EU) (პროგრამული კოდი 24 13)

ენგურჰესის რეაბილიტაცია;

მდ. ენგურიდან ვარდნილის წყალსაცავში გადამგდები ფარების, ასევე ვარდნილჰესი-2-ზე არხის მარეგულირებელი ფარების და ამწის რეაბილიტაცია;

ენგურის წყალსაცავის ნატანისგან გაწმენდის კონცეფციის შემუშავება და გაწმენდის სამუშაოების ჩატარება.

3.10 საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD) (პროგრამული კოდი 24 12)

საქართველოში ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებას;

რეგიონებში მცხოვრები მეწარმეებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა ფართოზოლოვან ინტერნეტში მათი ჩართვის მიზნით;

ინოვაციებზე ორიენტირებული მეწარმეობის ფორმირების ხელშეწყობა;

ინოვაციების საგრანტო დაფინანსება მათი შემდგომი კომერციალიზაციის მიზნით.

3.11 რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 25 01)

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მისი განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი;

მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის, დეკონცენტრაციის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა გამოიჯგნის საკითხებზე და მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გამდიერებისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და უცხოური წყაროებით დაფინანსებული რეგიონული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების კოორდინაცია და მათი ეფექტიანობის შეფასება;

კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო რწმუნებულების–გუბერნატორების ადმინისტრაციების და მუნიციპალიტეტების მოხელეთა სწავლების საკითხების კოორდინაცია;

მუნიციპალიტეტების მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დარგობრივი ზედამხედველობის უზრუნველყოფა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობისთვის მიკუთვნებული, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა, ამ პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის და სხვა სამუშაოების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მათი მონიტორინგი;

კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს წყლით უზრუნველყოფის და მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა და კოორდინაცია;

თავდაცვის ძალების სამობილიზაციო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა. მუნიციპალიტეტების მიერ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინაცია;

არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა);

კომპეტენციის ფარგლებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე წინადადებების მომზადება, ღონისძიებათა განხორციელება/განხორციელებაში მონაწილეობა;

სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე პროექტების შეთანხმება;

ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა;

ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სარგებლის მიღების ხელშეწყობა და ინვესტიციებისთვის მიმზიდველი, სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა;

„საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი“-ს პროექტის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება.

3.12

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 24 11)

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში, პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.

3.13 **საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 08)**

საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, უცხოური გამოცდილების გაზიარება და საქართველოში დანერგვა;

დაგეგმილი/განსახორციელებელი პროექტების შესრულებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება, დასაქმება, მათთვის პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნა და განსახორციელებელი პროექტების ადმინისტრაციული რესურსით უზრუნველყოფა;

ქვეყნის მასშტაბით ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება.

3.14 **ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)**

ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ზედამხედველობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ტექნიკურ კანონმდებლობასთან (დირექტივები და რეგულაციები) დაახლოებით და ევროპულ ბაზარზე არსებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვით;

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უსაფრთხოების დონის ამაღლების ხელშეწყობა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების დახვეწით;

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების კონტროლით.

3.15 **ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 17)**

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაციის უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურად კერძო მესაკუთრებთან საკომპენსაციო თანხის შეთავაზების მომზადების და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების გზით;

სარკინიგზო მაგისტრალის თოვლით დანამქვრისაგან დამცავი დამატებითი ნაგებობების მშენებლობა.

4 **განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება**

განათლება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. დაგეგმილია ისეთი საგანმანათლებლო სისტემის განვითარება, რომელიც ბავშვების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად, უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებას, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისა და საზოგადოების განვითარების საწინდარი იქნება. მომდევნო 4 წლის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლება გეგმავს განათლების სფეროს სისტემური ცვლილებების განხორციელებას, რათა განათლებისა და მეცნიერების სისტემა გახდეს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მყარი საფუძველი. უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი განათლება. განათლების სისტემა იქნება ხარისხზე, ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიაზე ორიენტირებული. ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ საქართველოს განათლების სისტემამ რეგიონში ლიდერის პოზიციები დაიკავოს და რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცეს. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი დაწესებულებების დაფუძნება. წინასასკოლო ასაკის მოზარდებისთვის მხარდაჭერილი იქნება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება როგორც საბავშვო ბაღების, ისე სკოლების ბაზაზე. ზოგადი განათლების მაღალი ხარისხი და საყოველთაო

ხელმისაწვდომობა კვლავ პრიორიტეტი იქნება. ამ მიზნით უზრუნველყოფილი იქნება თანასწორი, უსაფრთხო და ინკლუზიური, მოსწავლის წარმატებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს განვითარება. ხარისხის მაღალი სტანდარტების მისაღწევად, დაინერგება ავტორიზაციის ახალი, სწავლისა და სწავლების მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სტანდარტები. განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით, შეიქმნება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომელთა დანერგვა I-VI კლასებში უკვე 2017-18 სასწავლო წელს დაიწყება და შემდგომ ეტაპობრივად დაფარავს ზოგადი განათლების სამივე საფეხურს. სკოლებში დაინერგება დიფერენცირებული მიდგომები ტექნიკური და საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, სახელოვნებო, სახელობო გაძლიერებული სწავლების მიმართულებით. განვითარდება ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა. გამოცდების ჩატარების პროცესში გაიზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების როლი. ხელისუფლება იზრუნებს პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებაზე. სახელმწიფო უზრუნველყოფს მასწავლებლების კარიერული ზრდის ხელშეწყობას მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით. გაგრძელდება ანაზღაურების სისტემისა და სამოტივაციო პაკეტების განვითარება. სწავლა-სწავლების პროცესისა და სკოლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2017 წლიდან გაგრძელდება მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების მასშტაბური პროგრამების განხორციელება. თავისუფალი გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზე იქნება მორგებული, გახდება სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს, რომლებიც მათ დაეხმარება ანალიტიკური, კრეატიული, შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების, გუნდური მუშაობის, ლიდერობისა და სამეწარმეო უნარების, ასევე სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებაში, წახალისებს ჯანსაღი ცხოვრების წესსა და სპორტულ აქტივობებს. სწავლა-სწავლების პროცესში გაძლიერდება თანამედროვე ტექნოლოგიების, აგრეთვე დისტანციური სწავლების როლი. მნიშვნელოვნად გაიზრდება სკოლების საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები. მომზადდება მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები დამხმარე სასწავლო მასალისა და განმავითარებელი თამაშების სახით, შეიქმნება ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომლის საშუალებითაც დიასპორის წარმომადგენლებისათვის დაინერგება დისტანციური სწავლების გაკვეთილები ქართულ ენაში, საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიაში. მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებაში უახლესი სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, ახალი სკოლების მშენებლობაში. 2017 წლიდან, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების პარალელურად, გაგრძელდება ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის დაფინანსებით შერჩეული 100-მდე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფა, რაც საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ 37 ათასზე მეტ მოსწავლეს საერთაშორისო სტანდარტის სკოლებში სწავლის საშუალებას მისცემს, ასევე ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში თბილისის ზოგიერთ სკოლაში ჩატარდება სარეაბილიტაციო და ენერგოეფექტურობის გაზრდაზე მიმართული სამუშაოები. სახელმწიფო უზრუნველყოფს მცირეკონტინგენტიანი, მაღალმთიანი და სოფლის სკოლების გაძლიერების პროგრამების ამოქმედებას. პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგება დუალური, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული, სწავლების მიდგომა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით. ამ მიდგომით, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სასწავლებელი და დამსაქმებელი გაინაწილებენ პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებს. შესაბამისად, სტუდენტები თეორიულ ცოდნას სასწავლებელში, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს კი პარალელურად, რეალურ სამუშაო გარემოში დამსაქმებლისგან მიიღებენ. პარალელურად გაგრძელდება მოქნილი მოდულური სწავლების მიდგომის დანერგვა, რაც ახალგაზრდებს სრული მოდულური პროგრამის, ზრდასრულებს კი ცალკეული მოდულების გავლის შესაძლებლობას სთავაზობს შედარებით მოკლე დროში და სწავლის დასრულების შემდეგ გაძლიერებულ საწარმოო პრაქტიკას გულისხმობს. შედეგად, გაიზრდება სტუდენტებისა და მომავალი დასაქმებულების კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისათვის მზაობის ხარისხი. შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე, სახელმწიფო განსაზღვრავს პროფესიული განათლების ცალკეულ პრიორიტეტულ მიმართულებებს და უზრუნველყოფს დამსაქმებლების სრულფასოვან ჩართვას პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების, ასევე სტუდენტების შერჩევისა და შეფასების პროცესებში. პროფესიული განათლება ფოკუსირებული იქნება როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებებზე. კერძო სექტორთან თანამშრომლობით შეიქმნება ზრდასრულთა განათლების სისტემა. ამოქმედდება პროფესიული მომზადება-გადამზადების მრავალფეროვანი პროგრამები. პარალელურად, შეიქმნება

პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაში გადასვლის მოქნილი მექანიზმები, სისტემა გახდება უფრო ღია და ინკლუზიური. დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების პარალელურად, სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისა და კერძო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე პრიორიტეტი იქნება სამეწარმეო განათლებაც. პროფესიის დაუფლებასთან ერთად, სტუდენტები ისწავლიან მეწარმეობას. ამგვარად, მომზადდება მცოდნე კადრი, რომელიც დასაქმების გარდა, შეძლებს სახელმწიფოს თუ ბიზნესსექტორის მიერ გატარებულ სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერ ღონისძიებებში (კონკურსები, დაფინანსებები, სტარტაპების წახალისება) მონაწილეობას და ბიზნესის დაწყებას საკუთარი პროფესიით. ამოქმედდება ევროპული მიდგომების შესაბამისად მომზადებული ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა და დასაქმებულთა მობილობას და უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხელი შეეწყობათ, რომ განახორციელონ ერთობლივი პროგრამები ევროპულ და სხვა წარმატებულ სასწავლებლებთან თანამშრომლობით და მოამზადონ კადრები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. განვითარდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში გაფართოვდება არსებული გეოგრაფიული ქსელი. პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ამოქმედდება პროფესიული განვითარების მწყობრი სისტემა, წახალისებული იქნება მათი სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ. სახელფასო პოლიტიკა დაეფუძნება ცოდნის, გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების ანალიზს. დაინერგება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელები, რომლებიც ორიენტირებული იქნება იმ მიმართულებებისა და სპეციალობების გაძლიერებაზე, რაც ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე იქნება იდენტიფიცირებული. დაინერგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ეფექტიანი მოდელები; ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი, შედეგებსა და განვითარებაზე ორიენტირებული სტანდარტები და პროცედურები ორიენტირებული იქნება ხარისხის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფაზე. პრიორიტეტი მიენიჭება სწავლისა და მეცნიერული კვლევის ინტეგრაციას. დაინერგება ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მასწავლებელთა მომზადების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამოქმედდება მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება და ხელს შეუწყობს ყოველწლიურად სკოლებში ახალი კადრების დასაქმებას. მხარდაჭერილი იქნება სპეციალური პროგრამები საქართველოში და საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში წარმატებით მოღვაწე წამყვანი ქართველი მეცნიერების უმაღლესი განათლების სისტემაში რეინტეგრაციის მიზნით. სახელმწიფო განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს უმაღლესი განათლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების როლისა და მნიშვნელობის ზრდას, მათ შორის, დისტანციური განათლების კომპონენტის გაძლიერებას. სახელმწიფო ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით, განხორციელდება უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოზიდვის მასშტაბური პროექტი - „ისწავლე საქართველოში“. ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით მოხდება პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი გაძლიერების მხარდაჭერა. ხელი შეეწყობა საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას, უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო კვლევებს საქართველოში და ქართველი მეცნიერებისას - მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრებში, აგრეთვე ქართველი მეცნიერების მიერ უცხოელ მკვლევარებთან ერთობლივი კვლევითი პროგრამების განხორციელებას. უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა მეცნიერებაში მიზნობრივი პროგრამების დანერგვით.

4.1 სკოლამდელი და ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით;

ხარისხიანი და ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების უზრუნველყოფა.

სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენების ხელშეწყობა; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, სასკოლო ინიციატივებისა და სხვა აქტივობების წახალისება;

მასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული სხვა პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარება;

სკოლებში უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისკენ მიმართული სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება; ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურება;

სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა სკოლამდელი და ზოგადი განათლების საფეხურებზე;

საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;

სკოლებში იმ მოსწავლეების ტრანსპორტირების პროცესის ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა), სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია, ასევე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები;

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული და წარჩინებული მოსწავლეების ხელშეწყობა.

4.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებით უზრუნველყოფა, ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლების დანამატის, ადმინისტრაციული, სკოლის მოვლა-შენახვისა და სკოლის განვითარებისათვის საჭირო და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, რაც სკოლებს შესაძლებლობას აძლევს, სრულად შეასრულონ თავიანთი ფუნქცია-მოვალეობები და ხარისხიანი და ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი გახადონ ზოგადი განათლება.

4.1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ზრდის ხელშეწყობა, ზოგადი განათლების დაწესებულებაში დასაქმებული პირების, ასევე პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლება; ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვის, ხელმისაწვდომობისა და გავრცელების ხელშეწყობა;

4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს შექმნა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;

სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ძალადობის, მათ მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღების ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების/გამოყენების პრევენცია და აღმოფხვრა;

ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის ზოგადი განათლებისა და განვითარების

თანაბარი შესაძლებლობების, ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;

კრიზისული ინტერვენციის ჯგუფის შექმნა გადაუდებელი ფსიქოლოგიური დახმარების სერვისის საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიწოდების მიზნით;

ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისათვის ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა.

4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და თანაბრად კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობისა და საერთაშორისო დონეზე მათი წარმოჩენის მიზნით, ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სრული ზოგადი განათლების საფეხურის წარჩინებით კურსდამთავრებულთა გამოვლენა და ოქროს ან ვერცხლის მედლებით დაჯილდოვება.

4.1.5 განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 05)

განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოვებული რესურსსკოლის მოსწავლეების ხარისხიანი საკვებით, საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით, მედიკამენტებით და აღმზრდელების მომსახურებით უზრუნველყოფა.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის, კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;

4.1.7 დავისგნოთ და ვისწავლოთ ერთად (პროგრამული კოდი 32 02 07)

აქტიური დასვენებისა და განათლების პროცესის შერწყმით მოსწავლეთა სოციალური და აკადემიური უნარებისა და სხვადასხვა განვითარების ხელშეწყობა;

ცხოვრების ჯანსაღი წესის, როგორც ფასეულობის განმტკიცება და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება;

შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების, შესაბამისი ფასეულობებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ადაპტაციის, დამოუკიდებელი მუშაობისა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;

მოსწავლეთა შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმის ხელშეწყობა შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება.

4.1.8 ოკუპირებული რეგიონების მასწავლებლების და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

გალის რაიონისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

4.1.9 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 09)

სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის გზით პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეების საზოგადოებაში რეინტეგრაციის

ხელშეწყობა;

4.1.10

ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 10)

ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ადგილობრივი გამოწვევების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია, განვითარება და ამ პროცესებთან დაკავშირებული სხვა მხარდაჭერი აქტივობების განხორციელება;

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ხელშეწყობა;

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდაჭერა.

4.1.11

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 11)

დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

4.1.12

პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერი" (პროგრამული კოდი 32 02 12)

საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუტბუქებით);

წარჩინებული მოსწავლეების წახალისება კომპიუტერული ტექნიკით;

4.1.13

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 13)

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;

შესაბამის სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა;

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და შსს მიგრაციის დეპარტამენტში დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული არასრულწლოვან პირთათვის ქართული ენის სწავლება, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის ხელშეწყობა;

მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის კონკურსების შეთავაზება; კონკურსებში წარმატებული მოსწავლეების წახალისება;

მოსწავლეთათვის უსაფრთხო, ძალადობისაგან თავისუფალი და პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ძალადობის გამომწვევი მიზეზების და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზების შესახებ;

მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისა და დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აქტივობისა და სპორტში მასობრივი ჩართვის სტიმულირება, სასკოლო სპორტის განვითარება.

4.1.14

ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 14)

უნარ-ჩვევების განვითარება განათლების შემდეგ საფეხურებზე წარმატების მიღწევის მიზნით;

სკოლამდელი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ზრდა;

განათლების სტანდარტის დანერგვა ბავშვის განვითარების ყველა ასაკობრივ ჯგუფში;

მშობლების ინფორმირებულობის ზრდა სკოლამდელი განათლების შესაძლებლობებზე;

ელექტრონული რესურსებისა და საგანმანათლებლო ინოვაციებისა დანერგვა სკოლამდელი და ზოგადი განათლების სისტემაში;

სკოლებში ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და WIFI უკაბელო კავშირის განვითარება;

ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული დაწესებულებების ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფა და სიჩქარის გაუმჯობესება.

4.2 უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 32 04)

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები გამოცდების, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სასწავლო სამაგისტრო საგრანტო გადაფინანსებით უზრუნველყოფა;

წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა;

უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;

საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით, უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოზიდვის მასშტაბური პროექტის - „ისწავლე საქართველოში“ განხორციელება;

ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვალიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა

4.2.1 გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები და ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება, ასევე პროფესიული ტესტირება;

სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარება, რომელიც გულისხმობს გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მფლობელ სტუდენტისათვის, საგრანტო კონკურსის შედეგად მეტი ოდენობის გრანტის მოპოვების ხელშეწყობას;

საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა;

4.2.2 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 02)

პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

სტუდენტთა სასწავლო პროცესებში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა და წახალისება;

უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;

მასწავლებლობის მსურველთა პროფესიული მოღვაწეობისათვის მომზადება;

ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერება;

ახალგაზრდების ხელშეწყობა განათლების მიმართულებით სწავლის გასაგრძელებლად.

4.2.3 უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03)

საქართველოს სახელმწიფო ენის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამების (მათ შორის ლექსიკოგრაფიული პროგრამების) შემუშავება, მათი განხორციელება და შესრულების კონტროლი. ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ განხორციელება;

ვებგვერდის www.geofl.ge ახალი სასწავლო-მეთოდური მასალით მუდმივად შევსებასა და განახლებას;

ქართული ენის პოპულარიზაცია და ქართული ენის შესწავლით დაინტერესების ხელშეწყობა უცხოეთში;

ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის სტუდენტის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის საფუძველზე რიგი საწარმოების/ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საქონელსა და მომსახურების გაწევაზე ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სტუდენტური ცხოვრების კვლევა.

4.2.4 საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)

საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მნიშვნელოვანი აკადემიური, სამეცნიერო და/ან ადმინისტრაციული ინიციატივების განხორციელება და ადმინისტრაციული კადრების გადამზადება;

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა;

ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორის გაძლიერება მაღალკვალიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებსა და კურსებზე მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების გზით;

საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო აკადემიურ და ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ხარისხის მიღების ხელშეწყობა, საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში;

საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის სახელმწიფოში რეალიზაცია და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსების ზრდა.

4.2.5 ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 05)

სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში ღონიძირების ხელშეწყობა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ უმაღლესი განათლების მიღების უფლების რეალიზაციას.

4.2.6 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 06)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტექნიკური მხარდაჭერა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ხელშეწყობა.

4.3 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07)

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ტერიტორიული ორგანოების, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული და სახელოვნებო დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარიტა და ტექნიკით აღჭურვა;

სახანძრო უსაფრთხოების სათანადო მოწყობილობების დამონტაჟება და შშმ პირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყობა

4.3.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 01)

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარიტა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

4.3.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02)

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა და რეაბილიტაცია;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა სახის ინვენტარიტა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და შესაბამისი ინვენტარიტა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

4.3.3 სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 03)

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა - რეაბილიტაცია;

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოები სხვადასხვა სახის ინვენტარიტა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

4.3.4 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 04)

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და სხვადასხვა სახის ინვენტარიტა აღჭურვის უზრუნველყოფის მიზნით.

4.3.5 საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 05)

საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი მხარეების შესაძლებლობების განვითარება;

ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

4.3.6 **კულტურაში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 32 07 06)**

კულტურის სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია;

4.3.7 **სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 32 07 07)**

სპორტის სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია;

სპორტული ფედერაციებისთვის და რეგიონული სპორტული ორგანიზაციებისთვის გადასაცემად სპორტული ინვენტარის და ეკიპირების შექმნა;

4.4 **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05)**

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ასევე მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა კვლევითი პროექტების ხელშეწყობა და საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება;

სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების, საინოვაციო პოლიტიკის და საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით კვლევების ხელშეწყობა;

„ჰორიზონტი 2020“ პროგრამის სრულყოფილებიანი ასოცირებული წევრობა.

4.4.1 **სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 01)**

სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზანია კონკურსის წესით ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად სახელმწიფო გრანტების გზით გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება, ქვეყნის მატერიალური, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის და ასევე საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების განვითარების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ქვეყანაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება, ქართული მეცნიერების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტ-დოქტორანტთა, დოქტორანტთა, მაგისტრანტთა) კვლევებისა და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობა.

4.4.2 **სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 05 02)**

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების წარმოება, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;

საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების, კონგრესების, კონფერენციებისა და სემინარების გამართვა;

სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები;

კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი და ხელოვნებათმცოდნეობითი ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები; ბიბლიოგრაფიულ-საენციკლოპედიო, საგამოფენო-საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარება;

საარქივო, საფონდო, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმისწარმოება;

ხელნაწერთა რესტავრაცია-კონსერვაცია;

ფონდების დიგიტალიზაცია;

ფუნდამენტური გამოკვლევების ჩატარება ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიასა და ვირუსოლოგიაში;

ადამიანის და ცხოველების, ასევე, მცენარეების სხვადასხვა ბაქტერიული ინფექციის, მათ შორის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიული შტამებით გამოწვეული ინფექციების ეთიოლოგიური სტრუქტურის შესწავლა;

ბაქტერიული შტამების - გამომწვევების კვლევა და ამ შტამების საწინააღმდეგოდ სპეციფიური ფაგების გამოყოფა, მათი დეტალური შესწავლა და ფაგური პრეპარატების შექმნა;

4.4.3 საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 03)

აგროსასურსათო სექტორში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობა;

სამეცნიერო ხასიათის შეხვედრები აგრონომიის, აგროინჟინერიის, სასურსათო ტექნოლოგიებისა და სურსათის უვნებლობის, მეცხოველეობის და ვეტერინარიის, ეკონომიკის და სატყეო საქმის სამეცნიერო მიმართულებით;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

4.4.4 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 04)

სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების/ერთეულების ხელშეწყობის მიზნით მეცნიერული კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა, სამეცნიერო პერსონალისთვის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის, მათ შორის, სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ტექნიკური ხასიათის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და შესაფერისი პირობების შექმნა;

კვლევის პროცესში ინოვაციების გამოკვეთა.

4.4.5 მეცნიერების პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 32 05 05)

საქართველოში მეცნიერების პოპულარიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით ყოველწლიური მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაციას, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენას, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროების დაახლოებას.

4.5 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად, საქართველოს მოქალაქეების ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით;

პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის, ხარისხიან პროფესიულ განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას;

განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის, პროფესიული განათლების რეფორმის 2013–2020 წლების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების განხორციელების ხელშეწყობა;

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ადმინისტრირების მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული ცოდნის და უნარების გაუმჯობესება.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ადმინისტრირების მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული ცოდნის და უნარების გაუმჯობესება.

4.5.1 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 03 01)

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ფუნქციონირების, განვითარებისა და გაფართოების ხელშეწყობა;

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოდულური და დუალური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ სტუდენტთა სწავლების სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა;

პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის განვითარებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის მხარდაჭერა;

პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა - ინოვაციური სასწავლო გარემოს და სამეწარმეო განათლების, სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება;

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი მოდელისა და ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესებული მექანიზმების დანერგვა;

ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვის ხელშეწყობა და მოწყვლადი ჯგუფებისათვის მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო სერვისების მიწოდება;

სკოლის მოსწავლეებისათვის პროფორიენტაციული სერვისის მიწოდება და პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

ზოგადი განათლების სასწავლო შედეგების პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირების ხელშეწყობა;

ზრდასრულთათვის პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარება და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნა.

4.5.2 მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 03 02)

პროფესიული მომზადების პროგრამების მეშვეობით სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, თავისუფლება შეზღუდული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებული) სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა;

ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთა ან/და განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთა სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა;

ბენეფიციართა რესოციალიზაციის ხელშეწყობა პროფესიული მომზადების გზით.

4.5.3

ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 03)

საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევა;

საქართველოს მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება.

4.6

ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი (პროგრამული კოდი 32 14)

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება და თანამედროვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა;

საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო, მათემატიკის და ინგლისური ენის საგნების პედაგოგების, დირექტორისა და პროფესიული განვითარების ფასილიტატორის ინტენსიური გადამზადება;

ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების ხელშეწყობა კვლევების საფუძველზე, სანდო მონაცემების შეგროვება, მათი ანალიზი, რეკომენდაციების მომზადება და შესაბამისი პოლიტიკის კურსის შემუშავება;

პროფესიული განათლების ხელშეწყობით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიურ და საინჟინრო დარგებში, ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება.

4.7

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება;

სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისი სფეროს/დარგის/მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა;

საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურისა და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების ფორმირება საგანმანათლებლო სისტემაში ბიზნესს პროცესების ეფექტიანი მართვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დანერგვის ხელშეწყობა, სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა;

საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების

აქტიური ჩართვის ხელშეწყობა;

ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის პოლიტიკის და მისი აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების, მონიტორინგის „კარგი მმართველობის“ პრინციპით უზრუნველყოფა;

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

4.8 ინკლუზიური განათლება (პროგრამული კოდი 32 06)

ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სსსმ პირების იდენტიფიცირება, მათი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, შესაბამისი სერვისების შეთავაზება. ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ეფექტური და ეფექტიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა;

საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა, სოციალური ფაქტორებით გამოწვეული, დევნილი, რეპატრირებული და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი განსაკუთრებული საჭიროებების, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების/სტუდენტების/პირების ინტეგრაცია და სოციალიზაცია, სათემო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის საჯარო სკოლების დამატებითი დაფინანსება;

რესურსსკოლების მოსწავლეების უზრუნველყოფა სრული სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სსსმ მოსწავლეების აკადემიური, ფუნქციური და სოციალური უნარების განვითარება;

ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისათვის ადამიანური რესურსების განვითარება;

სოციალური მუშაკების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

4.9 საბიბლიოთეკო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 02)

საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება, დაცვა და მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მონაცემთა ბაზების შექმნა და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება ბიბლიოთეკათმცოდნეობის, წიგნთმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის დარგებში;

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვის ხელშეწყობა;

საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;

საქართველოს ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა;

ინტერნეტის გამოყენება საბიბლიოთეკო პროცესებსა და მკითხველთა მომსახურებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდის სრულყოფა და მხარდაჭერა;

4.10

სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, სარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 04)

პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების მომზადება და გადამზადება;

სამინისტროს არქივში განთავსებული, საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მასალების დაცვა როგორც მომავალი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის, ასევე პიროვნების იდენტიფიცირებისა თუ მნიშვნელოვანი მოვლენების აღდგენის თვალსაზრისით;

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

4.11

სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 09)

სსიპ სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების ხელშეწყობა, თითოეული მათგანის მისიის შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერით;

სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადი განვითარების და ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით საფეხურეობრივი განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება;

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფის მიზნით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

ახალგაზრდების დასაქმებისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარებისა და პროფესიული შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა;

ხარისხზე ორიენტირებული, ახალგაზრდის შემოქმედებით და სპორტულ უნარებზე მორგებული, დაფინანსების მოქნილი მოდელის შემუშავების გზით, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სახელოვნებო და სასპორტო დარგების სპეციალისტების აღზრდა;

თანამედროვე სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება. ხარისხიანი სწავლების პროცესის უზრუნველსაყოფად სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სასწავლებლების აღჭურვა;

სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო სასწავლებლების ხელშეწყობა, თითოეული მათგანის მისიის შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერით (კონცერტები, გამოფენები, სპექტაკლები, კონკურს-ფესტივალები, მასტერკლასები, სპორტული ღონისძიებები);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა.

4.12

სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (პროგრამული კოდი 48 00)

მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება;

ეკონომიკური და სოციალური პროექტების მეცნიერული შეფასება და რეკომენდაციების წარდგენა;

უმადლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური შედეგების საექსპერტო შეფასება და რეკომენდაციები;

მეცნიერული მონაპოვრების წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობა;

სამეცნიერო ნაშრომების, სამეცნიერო ჟურნალების, ენციკლოპედიების და ლექსიკონების გამოცემა;

საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებისა და კონფერენციების ჩატარება

4.13 **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება (პროგრამული კოდი 26 04)**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ებისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგების სრული ციკლის (ტრენინგსაჭიროებათა ანალიზი, დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) მართვის, აგრეთვე, საკონკურსო და საკვალიფიკაციო ტესტირებათა ორგანიზების საშუალებით;

საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებსა და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელების გზით;

კერძო სექტორის, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტესტური დავალებების, ტრენინგმოდულების, სასწავლო კურსებისა და პროგრამების შექმნა და მუდმივად განახლება, მათ შორის, უცხოური სერტიფიცირებული პროგრამების შემენის გზით;

ტრენინგები სპეციფიკითა და შინაარსით როგორც საჯარო მოხელეების, ისე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების საჭიროებებზე მორგება, რაც ხელს შეუწყობს მართლშეგნების ამაღლებასა და პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას არა მარტო საჯარო სტრუქტურებში, არამედ ფართო საზოგადოებრივ წრეებშიც;

პენიტენციური და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით, ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, პენიტენციურ სიტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა.

4.14 **მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)**

იუსტიციის მსმენელების (მოსამართლეობის კანდიდატების) პროფესიული სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება;

მოქმედი მოსამართლეების, მოსამართლის თანაშემწეების, სასამართლოს მენეჯერების და სასამართლოს სისტემის სხვა მოხელეების პროფესიული გადამზადება რეგულარულად ჩატარებული სასწავლო აქტივობების - ტრენინგების საშუალებით;

იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენელთათვის სასწავლო აქტივობების ორგანიზება.

4.15 **საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)**

ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის განხორციელების ხელშეწყობისა და გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროექტების განხორციელების გზით, ასევე, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული პროგრამების ორგანიზების საშუალებით.

ფინანსთა სამინისტროს სისტემის, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელშეწყობა ახალი კადრების შერჩევაში პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირების პროცესების ორგანიზების გზით.

ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზების საშუალებით.

კერძო სექტორის განვითარების, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელება.

პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

4.16 **მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა უწყებების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;

დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის სრულყოფა (თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დახვეწა);

კომპეტენციის ფარგლებში კვლევითი/ანალიტიკური პროექტების განხორციელება;

მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან, აკადემიებთან და ადგილობრივ პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით;

დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამდიდრება.

4.17 **ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (პროგრამული კოდი 01 03)**

ქვეყანაში ჰერალდიკური ნიშნებისა და სიმბოლოების მოწესრიგება და დამკვიდრება ევროპული სტანდარტების შესაბამისად;

სახელმწიფო ცერემონიების, ოფიციალური ღონისძიებების და სამხედრო აღლუმების ჩატარებისას საჭირო სახელმწიფო სიმბოლოების და სხვა ჰერალდიკური ნიშნების, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა ჰერალდიკური ნიშნების, საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ უწყებათა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმების) და ემბლემების შექმნასა და გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა;

საქართველოს ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემური განვითარების უზრუნველყოფა;

ჰერალდიკის საკითხებზე სამოქალაქო განათლების გავრცელების ხელშეწყობა;

ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკის და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია;

ჰერალდიკის საკითხებზე ისტორიული მასალების (წყაროების) მოძიება (საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ) და ანალიზი;

სახელმწიფო სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშების ჰერალდიკური ექსპერტიზის, აგრეთვე მათი შექმნისა და გამოყენების შესახებ დასკვნების მომზადება.

4.18 **საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 16)**

საერთაშორისო და ნაციონალური საგანმანათლებლო და საზღვაო კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი საზღვაო და მომიჯნავე დარგების კვალიფიციური კადრების მომზადება;

სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა;

სტუდენტებისთვის მართვისა და კვლევისათვის აუცილებელი ანალიზის უნარ - ჩვევების ჩამოყალიბება.

5 მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, რომელიც ძლიერი კერძო სექტორის წინაპირობაა. შესაბამისად, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაყრდნობით, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ერთი მხრივ, მიმართული იქნება კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისა და კერძო სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრისკენ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში კერძო სექტორის გაძლიერებასა და სამუშაო ადგილების გენერირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სასურველი დონის მიღწევამდე, უზრუნველყოფს მოსახლეობის იმ ფენების მხარდაჭერას, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი. მთავრობა მიზნად ისახავს ისეთი მოდელის დანერგვას, რომლის პირობებშიც, ეკონომიკური ზრდის პარალელურად, მცირდება სიღარიბე და უმუშევრობა მოსახლეობაში. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, იხელმძღვანელებს სოციალური უსაფრთხოებისა და სამართლიანობის პრინციპებით. გრძელვადიანი სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ეკონომიკის ფაქტორების მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის განვითარებაში. მთავრობის მიერ შემუშავებული 4-პუნქტიანი გეგმა მიმართულია ბიზნესის, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებლის, განვითარებაზე, ადამიანური რესურსების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაზე ქვეყნის განვითარებაში, ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასა და ღია მმართველობის პრინციპების დანერგვაზე. მაკროეკონომიკური სტაბილურობამთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის, როგორც ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტის, პრინციპებისადმი ერთგულებას. ფისკალური დისციპლინა, უმუშევრობის დაბალი დონე და ფასების სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანდათანობითი შემცირება და ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. საქართველო არის მცირე, ღია ეკონომიკის ქვეყანა. შესაბამისად, ის ვერ იქნება იზოლირებული რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისაგან. თუმცა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვანია ნეგატიური საგარეო შოკების ზემოქმედების შერბილებისათვის. მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და საბიუჯეტო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით: - გაგრძელდება ხარჯების ოპტიმიზაციის უწყვეტი პროცესი, რაც მიმართული იქნება სახსრების გამოთავისუფლებასა და მათ გადანაწილებაზე პრიორიტეტული მიმართულებებით. ამასთან, შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯები და მომავალში შეიზღუდება მათი ზრდა; - უზრუნველყოფილი იქნება პროგრამული ბიუჯეტის პრინციპების სრულყოფა; - გაიზრდება ბიუჯეტის გამჭვირვალობა; - სახელმწიფო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით შენარჩუნდება იმ დონეზე, რომელიც ქვეყნის სტაბილურ საკრედიტო რეიტინგსა და დადებით საინვესტიციო იმიჯს უზრუნველყოფს; - უზრუნველყოფილი იქნება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინაცია; - ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი მასშტაბური პროექტების დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზებისთვის, გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიებები; - ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა იქნება ხელშეუხებელი; - ხელი შეეწყობა ლარით დაკრედიტების ზრდას. მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის შესაბამისად, გაუმჯობესდება საგადასახადო ადმინისტრირება. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ვეღარ მოხდება ბიზნესის ანგარიშების დაყადაღება. კომპანიების საგადასახადო შემოწმების ვადა იქნება რეგლამენტირებული და გაუქმდება ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის გამოყენება განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. აღნიშნული ნაბიჯები ბიზნესს მისცემს მეტ თავისუფლებას და გააჩენს განვითარების დამატებით პოტენციალს ეკონომიკაში. ხელისუფლების მნიშვნელოვანი მონაპოვარია ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა. ქართულ სინამდვილეში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც ქვეყანაში გაჩნდა „სტარტაპების“ დაფინანსების ინსტრუმენტი. „სტარტაპების“ დაფინანსება იქნება სწრაფი განვითარების 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი

მიმართულება. ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების კუთხით, გაგრძელდება მეწარმეობის ხელშეწყობის არსებული პროგრამები, მოხდება მათი ოპტიმიზაცია ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ეფექტიანი ურთიერთობების ხელშეწყობისთვის შეიქმნება ერთიანი სივრცე „ბიზნესსახლი“, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება კერძო ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. შედეგად, ბიზნესს შეუმცირდება სახელმწიფოსგან შესაბამისი მომსახურების მიღებისთვის საჭირო დრო და რესურსები. ფართოდ დაინერგება რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი, რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადაწყვეტილების გავლენა ბიზნესზე იყოს წინასწარ გაანალიზებული, რითაც ბიზნესს დავიცავთ შესაძლო ნეგატიური გავლენებისგან. კონკურენტული ბიზნესგარემოს ხელშეწყობისთვის, მოხდება სახელმწიფოს ეტაპობრივად გამოსვლა ეკონომიკის იმ დარგებიდან, რომლებსაც აქვს დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და განვითარების პოტენციალი. გაძლიერდება ქვეყნის კონკურენტუნარიანი დარგების სახელმწიფო მხარდაჭერა როგორც ადგილობრივი წარმოების ზრდის, ისე საექსპორტო პოტენციალის გაფართოების მიმართულებით. საქართველოში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის, ზოგადად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გარდა, საქართველოს მთავრობა გეგმავს მასშტაბური რეფორმების განხორციელებას. კაპიტალის ბაზრის რეფორმა - ქვეყანაში განვითარებული კაპიტალის ბაზრის არსებობა გულისხმობს, საბანკო დაკრედიტების პარალელურად, კომპანიებისათვის გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიან შესაძლებლობას. ამით კაპიტალის ბაზარი ქმნის კონკურენტულ გარემოს არა მხოლოდ დაკრედიტების, არამედ დანაზოგების ეფექტიანად გადანაწილების მიმართულებითაც. მეტიც, თუ რაიმე მიზეზით საბანკო დაკრედიტება იზღუდება, ობლიგაციების ბაზარი შესაძლოა ასრულებდეს დამბალანსებლის როლს. კაპიტალის ბაზრის ფუნქცია არა მხოლოდ ბიზნესისათვის ფინანსური რესურსების მიწოდებაა, არამედ განვითარებული ბაზარი ქვეყნის მოსახლეობის დანაზოგების განთავსების დამატებითი ინსტრუმენტიცაა. შედეგად, განვითარებული და გამჭვირვალე კაპიტალის ბაზარი ხელს უწყობს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. საპენსიო რეფორმა - სახელმწიფო გაატარებს საპენსიო რეფორმას, რომლის მიზანია კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა. აღნიშნული რეფორმა კაპიტალის ბაზრის შედარებით ფართო რეფორმის შემადგენელი კომპონენტია, რადგან იგი ხელს უწყობს გრძელვადიანი ფინანსური რესურსების წარმოქმნას. მიწის რეფორმა - განხორციელდება სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია, რაც გულისხმობს მთელი ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ქონების აღრიცხვასა და ერთიან ბაზაში თავმოყრას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სახელმწიფო აქტივების მართვა-განკარგვის პროცესს, გამოუყენებელი აქტივების ბრუნვაში ჩართვას, ქვეყანაში მიწის კადასტრის სრულყოფასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება - ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საჯარო-კერძო პარტნიორობა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, კერძოდ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებით, ქართულ ეკონომიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ექსპორტის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის კუთხით. ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), დასრულდა მოლაპარაკებები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ჰონგ-კონგთან, ხოლო თურქეთთან მოლაპარაკებები წარიმართება არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფართოების მიმართულებით. გაგრძელდება პრიორიტეტულ ქვეყნებთან ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების განვითარების კუთხით მუშაობა. შედეგად, გაიზრდება ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებულობა. სართველოს მთავრობის პრიორიტეტია საქართველოსა და უცხო ქვეყნების რეგიონებს შორის საქმიანი კავშირების დამყარების და თანამშრომლობის გაფართოების პროცესის ხელშეწყობა, რათა მოხდეს მსოფლიოს ლიბერალურ ბაზრებთან ქვეყნის ინტეგრაცია. ამ კუთხით, მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერებისა და კომერციული ატაშეების სისტემის დანერგვისკენ.

5.1 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 07)

კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის, ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია;

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მეწარმეობის (მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის) განვითარება, კერძო სექტორისათვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საქართველოს ეკონომიკის რეგიონალური და გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;

საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის გამოყენებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. აღნიშნული უზრუნველყოფს ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებას, რომლებსაც არსებული საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში არ გააჩნიათ საკმარისი უზრუნველყოფა სესხის ასაღებად;

საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, DCFTA-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაზრდა;

ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების და მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა;

თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების სფეროს განვითარება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობას;

ექსპორტის ხელშეწყობისათვის ქართული კომპანიების უცხოურ ბაზრებზე წარდგენა და მათი საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვანია უცხოელ იმპორტიორებთან ურთიერთობების დამყარებისათვის. კომპანიებისთვის დახმარების გაწევა ბაზრის კვლევების კუთხით, რომლებიც მათ ხელს უწყობს ექსპორტის დაგეგმვასა და მიზანმიმართულ განვითარებაში. ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებთან რეგულარული კომუნიკაცია და მათთვის დახმარების გაწევა ექსპორტის დასაგეგმად საჭირო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებით;

საქართველოს საწარმოო პოტენციალის პოპულარიზაცია მასშტაბური საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების წარმოებით და პროდუქციის/მომსახურების წარმოჩენით. მეწარმეობის განვითარების წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო ხელშეწყობა პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის;

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ. მიზნობრივი ბაზრების იდენტიფიცირება, პოტენციურ ინვესტორ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა და ინვესტიციების განხორციელებაში დახმარების გაწევა.

5.2 შემოსავლების მოზილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

გადამხდელთა კმაყოფილების ხარისხის ამაღლების მიზნით არსებული ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება, მომსახურების ოფისების თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა.

გადამხდელთა მაღალი საგადასახადო კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, საგადასახადო სფეროში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.

შემოწმების პროცედურებზე ელექტრონული კონტროლის გამარტივების მიზნით აუდიტის პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა.

აუდიტორთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა და მათი კვალიფიკაციის ზრდა.

გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი გადახდევინების მაჩვენებლის გაზრდისა და საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის გამარტივების მიზნით, საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა და ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება.

საქონლის გაფორმებასთან და საზღვრის კვეთასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულების გამარტივება.

არსებული პროგრამული მოდულების დახვეწა და ახალი პროდუქტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოსავლების სამსახურის ძირითადი ფუნქციების მხარდაჭერას, ინსტიტუციურ განვითარებასა და მდგრადობას.

საბაჟო კონტროლის ეფექტურობის ამაღლება, საბაჟო პროცედურების გამარტივება, საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესება/სრულყოფა.

საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების პროცესში მონაწილეობის მიღება, ასოცირების დღის წესრიგით და მთავრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

5.3 სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 06)

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომხმარებელზე ორიენტირებული ხარისხიანი სერვისების შეთავაზების გზით სახელმწიფო ქონების ეფექტური მართვა-განკარგვა;

სახელმწიფო საწარმოთა მართვა;

გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით „სოფლიდან გაუსვლელად“ პროექტის განხორციელება;

სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტის განხორციელება და სახელმწიფო ქონების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა;

სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვის უზრუნველყოფა;

სვანეთში, გუდაურსა და ბაკურიანში საბაგიროების და სასრიალო ტრასების მშენებლობა და ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც უზრუნველყოფს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას, ქვეყნის კულტურული ცხოვრების ხელშეწყობას, რეგიონში ეკონომიკური ფონის ამაღლებას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის;

შავი ზღვის ტურიზმის ხელშეწყობა.

5.4 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის წარმართვა, ანალიზი, პოლიტიკის კოორდინაცია, პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება;

სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება;

ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების ანალიზი, შესაბამისი ანგარიშების მომზადება და ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული რეფორმების შემუშავება და განხორციელება, რომელშიც იგულისხმება თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა საინვესტიციო გარემოს

გაუმჯობესებისა და კერძო სექტორის განვითარებისთვის;

ეფექტიანი კოორდინაციით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა და აგრეთვე, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის და სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების/შენარჩუნების/ ხელშეწყობის მიზნით სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;

შრომის ბაზრის ტენდენციების შესწავლა და ანალიზი, შესაბამისი კვლევების განხორციელება და შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შემდგომი განვითარება;

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის საქართველოს, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, ტურისტული და საფინანსო კვანძის პოპულარიზაცია, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სატრანსპორტო - სატრანზიტო პოტენციალის სრულყოფილ ათვისებას, ეროვნული წარმოების განვითარებას, ესპორტის ზრდას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობას;

არსებული საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღება;

ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების, ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესების დაჩქარება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, მეწარმეობის და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა. ევროპასა და აზიას შორის ფართოზოლოვანი გლობალური ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარება;

საფოსტო სფეროს და საფოსტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ფოსტის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მსოფლიოს საფოსტო სტანდარტების შესაბამისი უნივერსალური საფოსტო მომსახურებების დანერგვა. დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის ერთიანი საფოსტო წესების დადგენა;

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება;

მშენებლობაში, მრეწველობასა და ტრანსპორტის სფეროებში ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და რესურსდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების (2018 წლის 31 დეკემბრიდან დირექტივა 2010/30/EU -ის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება) გატარება და აგრეთვე, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან ერთად (Danish International Development Agency) „ენერგოეფექტურობისა და მდგარდი ენერგეტიკის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტზე მუშაობა, რომელიც ევროკავშირის დირექტივების

შესაბამისად ითვალისწინებს საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერჯის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას;

ქვეყნებს შორის ერთიანი სატრანსპორტო სისტემების შექმნის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანი გადაზიდვის ტარიფების დაწესებისა და საბაჟო პროცედურების გამარტივების ხელშეწყობა;

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სამშენებლო სექტორის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვას, დასაქმების ზრდასა და მოსახლეობის ადგილებზე შენარჩუნებას.

5.5 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების გასაუმჯობესებლად მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი არეალის გაფართოება, გრძელვადიანი პროგნოზირების გაუმჯობესება, მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირების სრულყოფა, ფისკალური რისკების მართვის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება.

ხარჯების საშუალოვადიანი გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების პროექტების მომზადება, სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო რესურსების მობილიზებისა და ეფექტურად განაწილების მიზნით.

სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევის მიზნით, საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად.

საბიუჯეტო პროცესის კალენდრით გათვალისწინებული ეტაპების ჯეროვანი შესრულება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისა და სსიპ/ა(ა)იპ-ების ანგარიშების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშთა სისტემაში და ბიუჯეტის მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში სრულად მოქცევა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების შემდგომი ეტაპების დაგეგმვა საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების შემდგომი განვითარების მიზნით (მათ შორის, პროგრამული ბიუჯეტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების კოორდინაცია, საინვესტიციო პროექტების მომზადება/განხორციელების მეთოდოლოგიის პილოტირება/სრულად დანერგვის კოორდინაცია).

საინვესტიციო პროექტების შეფასება და შერჩევაში მონაწილეობა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად.

საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვის კოორდინირება სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ დაწესებულებებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მუნიციპალიტეტებში.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმების განხორციელებასა და შესაბამისი სტრატეგიული და სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

ფისკალური რისკების შეფასების და ანალიზის სისტემის დანერგვა, ბიუჯეტის წინაშე მდგარი ფისკალური რისკების იდენტიფიცირება, იდენტიფიცირებული ფისკალური რისკების შემცირების და მართვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, ფისკალური რისკების შესახებ ანალიტიკური დოკუმენტის მომზადება და საჯაროობის უზრუნველყოფა.

საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფა, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გაუმჯობესების და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში

ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადასახადის გადამხდელებს შორის საგადასახადო ტვირთის უკეთესი განაწილება, მეწარმეთა მოთხოვნებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში სათანადო რესურსის მობილიზების უზრუნველყოფა.

5.6 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

სახელმწიფო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მდგრადობის, უსაფრთხოების და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა. (მათ შორის: ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ელექტრონული სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვა ფინანსთა სამინისტროში; ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; უძრავ-მოდრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონის სისტემის მოდერნიზება და ფუნქციონალური განახლება; საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის მოდერნიზება, ფუნქციონალური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა; ვებგვერდების და სხვა საინფორმაციო სისტემების შემუშავება, დანერგვა და მხარდაჭერა).

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა.

ფინანსთა სამინისტროსთვის და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი IT პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა/ანალიზი/დანერგვა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების ხელშეწყობა.

5.7 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მართვა, წარმოება, გავრცელება და ანგარიშგება;

მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება;

დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

5.8 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის (საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის) და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაანგარიშება;

სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება;

ბიზნესსექტორში, აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზი;

ენერგორესურსების მოხმარების შესახებ სტატისტიკური კვლევის ჩატარება და საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება;

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება;

სამაცივრო, სასაკლავო მეურნეობებისა და ელევატორების საქმიანობის გამოკვლევა;

შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება;

მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა;

საქართველოს შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის სიღარიბისა და უთანაბრობის მაჩვენებლები და სხვა) მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

საქართველოს რეზიდენტი და უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების შესახებ მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

შინამეურნეობებსა და ბიზნესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

საწარმოთა ინოვაციური აქტივობების გამოკვლევა.

5.9 ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 24 18)

საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის „ენერჯეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ გაფორმებული შეთანხმების და „სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და „TURKISH ELECTRICITY TRADING AND CONTRACTING CO.“-ს შორის გასაფორმებელი ოქმის პროექტის მოწონების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და თურქეთის ელექტროენერჯით ვაჭრობისა და ხელშემკვრელ კომპანიას (TETAS) შორის გაფორმებული ოქმის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მიმართ საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული ელექტროენერჯის დავალიანების (1 000 000 000 კვტ.სთ ელექტროენერჯის) დაბრუნება (2019 წლიდან მომდევნო 17 წლის მანძილზე ყოველწლიურად 50 მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯია).

5.10 სსიპ – კონკურენციის სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა;

ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობისათვის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაწესების დაუშვებლობა;

ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვა, რაც ითვალისწინებს: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას; კონკურენციის შემზღვევადი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას; სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღვევადი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობას; კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობას;

კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ქვეყანაში კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა.

5.11 სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (პროგრამული კოდი 38 00)

საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსების და მათთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და პრევენცია;

საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო – ფინანსური ქმედების სპეციალური

ჯგუფის (FATF) – სტანდარტებთან და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან პარმონიზაცია;

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

5.12 საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (პროგრამული კოდი 49 00)

მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა, ექსპორტ-იმპორტის ხელშეწყობა რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებში მათი ინტეგრაციის მიზნით;

სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან და ბიზნეს-გაერთიანებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა;

ბიზნეს-ფორუმების, კონფერენციების, გამოფენებისა და ორმხრივი შეხვედრების ორგანიზება ქართული და უცხოური ბიზნეს-წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით და აგრეთვე, ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა და როლდმოუების ორგანიზება;

ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის ბიზნეს კავშირების დამყარების ხელშეწყობა, პარტნიორის მოძიება და პალატის ინტეგრაცია საერთაშორისო ბიზნეს გაერთიანებებში რეგიონულ/საერთაშორისო ფინანსურ, ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით;

ორმხრივი ეკონომიკური მთავრობათშორისი კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა;

მეწარმე სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სერვისების გაუმჯობესება/ახალი სერვისების შემუშავება და პალატის ვებ-გვერდის მეშვეობით ელექტრონული სერვისების დანერგვა;

მეწარმე სუბიექტების ბიზნეს-კატალოგის შექმნა;

საქართველოს ბიზნეს-სუბიექტების ინტერესების დაცვისა და მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით სამთავრობო კომისიების, ინვესტორთა საბჭოს, დავების საბჭოსა და სამინისტროებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობა;

„ერთი ფანჯრის“ პრინციპზე დაფუძნებული DCFTA საინფორმაციო ცენტრების სრულფასოვანი ამოქმედება, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობადობის გაზრდა DCFTA შეთანხმებით გათვალისწინებულ მთავარ საკითხებთან დაკავშირებით, ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საქართველო-ევროკავშირის შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა და აგრეთვე, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა და საკანონმდებლო ცვლილებებთან ადაპტაციის ხელშეწყობა;

საქართველოს რეგიონების ბიზნეს-კომპანიებთან შეხვედრების, ტრენინგების, სემინარების, ფორუმებისა და პრეზენტაციების გამართვა და ასევე, კონსულტაციების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და პრობლემატური საკითხების გაცნობის მიზნით;

კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების განხილვის მიზნით საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარება;

დუალური პროფესიული განათლების პროგრამების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა;

ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

საქართველოს კულტურული ფასეულობების წარდგენა და ხელოვანთა მონაწილეობის ხელშეწყობა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში;

ღონისძიებათა გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას ქართული ხელოვნებისა და კულტურის მიმართ;

ქართული კულტურის მოღვაწეთა და ქართული კულტურის განვითარებისთვის უცხო ქვეყნის თვალსაჩინო მოღვაწეთა დამსახურებების სხვადასხვა ფორმით აღნიშვნა და წახალისება;

კულტურისა და ბიზნესის პარტნიორული ურთიერთობების გამყარება;

კავშირების დამყარება ხელოვნების დარგის წარმომადგენლების ინსტიტუციონალურ და კერძო ინვესტორებთან, ბიზნესმენებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან კულტურის სფეროში საინვესტიციო პროექტებით;

სხვადასხვა ქვეყნების კულტურის პალატებთან და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა.

5.13 **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 23 06)**

აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგებაზე სანდოობის ამაღლების მიზნით აუდიტის ზედამხედველობის ეფექტური სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან, აუდიტორების პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან, ეთიკის ნორმებთან და ევროდირექტივასთან შესაბამისობას.

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების პორტალის შექმნა „2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივა გარკვეული კატეგორიის საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და დაკავშირებული ანგარიშგებების მოთხოვნების გავრცელება ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის“ დირექტივასთან დაახლოების (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის სანდოობის ზრდა სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების) მიზნით.

5.14 **სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)**

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის სფეროების სრულყოფისთვის ნორმატიული ბაზების შემუშავება. გაზომვის ერთეულის აღწარმოება ეტალონების საშუალებით - გაზომვათა ერთიანობის სისტემის განვითარება;

ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების (CIB) პროგრამის III ეტაპის - „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის DCFTA-ს ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის“ ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001 სტანდარტის შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზოგადი პრინციპების დანერგვა და ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად სტანდარტიზაციის სფეროში ტექნიკური კომიტეტების ჩამოყალიბება;

საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიღება საქართველოს სტანდარტებად;

მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო აღიარების მისაღწევად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში (TBT) ნაწილის მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

5.15 **ნავთობის და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 24 09)**

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად ღია საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება შავი ზღვის შელფზე (შავი ზღვის პროექტი) და ხმელეთის თვისუფალ ბლოკებზე;

ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ტრანსპორტირების ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის (საქმიანობის ლიცენზია) გაცემა;

ნავთობისა და გაზის სფეროში სტანდარტების შემუშავება;

ნავთობისა და გაზის სფეროში მონაცემებისა და ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა და მართვა;

ნედლი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგების უზრუნველყოფის ვალდებულების შესახებ 2009/119 /EC დირექტივის ინპლემენტაცია.

5.16 **აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)**

შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა კანონით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად - შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება;

ევროპის აკრედიტაციის რეგიონული ორგანიზაციის - EA-ს მიერ აკრედიტაციის საერთაშორისოდ აღიარებული სფეროების შენარჩუნება და აკრედიტაციის ახალი მიმართულებების აღიარება. აკრედიტაციის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში აღიარებისთვის დასკვნითი ღონისძიებების განხორციელება;

ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სრულად განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

6 **ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალმა კანონმა შექმნა სათანადო სამართლებრივი საფუძვლები საჯარო სამსახურის რეფორმის სისრულეში მოსაყვანად და „კარგი მმართველობის“ პრინციპების დასაწინააღმდეგებლად. ეტაპობრივად ჩამოყალიბდება საჯარო სამსახურის კარიერული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოხელეთა სამსახურში აყვანასა და კარიერულ წინსვლას ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად. კვლავ გაგრძელდება პოლიტიკის დაგეგმვისა და მისი მონიტორინგის ერთიანი სისტემის დანერგვა ქვეყნის მასშტაბით, რაც ეფუძნება გამჭვირვალე, შედეგზე ორიენტირებული, საზოგადოების ჩართულობის პრინციპსა და ანგარიშვალდებულებაზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების იდეას. პოლიტიკის დაგეგმვისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემა საფუძვლად დაედება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალურ დონეზე იმპლემენტაციას და მათ ინტეგრაციას ეროვნული დაგეგმვის დოკუმენტებში. საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება აქტიური მუშაობა საჯარო ფინანსების მართვის, ანგარიშვალდებულებისა და თვითმმართველობების მმართველობითი შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, რათა მიღწეულ იქნეს ამ რეფორმის სრულმასშტაბიანი, წარმატებული განხორციელებასაქართველოს მთავრობა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების მუდმივ გაუმჯობესებას განხორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის პრინციპების შესაბამისად. სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად გაგრძელდება სისხლის სამართლის რეფორმა სამოქალაქო სექტორის ჩართულობით და საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაბამისად. სახელმწიფოს მიერ კვლავაც უზრუნველყოფილი იქნება საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა. გაგრძელდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი. კონსტიტუციის ფარგლებში და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ხელისუფლება გამოიყენებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რათა თითოეულ ადამიანს აღუდგეს წინა ხელისუფლების მიერ დარღვეული უფლება. უზრუნველყოფილი იქნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გადადგმული ნაბიჯების ქმედითი კოორდინაცია, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, ამ მიმართულებით განათლებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა,

ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვა და გაძლიერება. დაინერგება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილ მონიტორინგს, კერძოდ, დეკლარაციებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის დადგენას. კიდევ უფრო დაიხვეწება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ზედამხედველობის სისტემა. გაგრძელდება შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების განვითარება, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას უფრო მაღალი სტანდარტით. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდება იმგვარად, რომ დაცული იყოს გონივრული ბალანსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ქვეყნისა და ადამიანების უსაფრთხოების ინტერესებს შორის. განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. გატარდება ქმედითი ღონისძიებები თანასწორობის უფლების რეალიზებისათვის და ადამიანების ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად. საქართველო, როგორც კორუფციასთან ბრძოლის კუთხით რეგიონის აღიარებული ლიდერი და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თანათავმჯდომარე ქვეყანა, გააგრძელებს მუშაობას იმისათვის, რომ კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადოს თავისი მიღწევები კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. ამ მიზნით იგი კვლავც მჭიდროდ ითანამშრომლებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), GRECO-სთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დაიხვეწება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები და შემუშავდება ახალი კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობას, ინფორმაციის თავისუფლებაზე ცალკეულ აქტებში გაბნეული ნორმების ერთ საკანონმდებლო აქტში კონსოლიდირებას და არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას. კიდევ უფრო მოწესრიგდება საჯარო ინფორმაციის გაცემის არსებული პრაქტიკა.

6.1 საკანონმდებლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01)

საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზება;

კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, ქვეყნის სრული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, ქვეყნის მართვა-გამგეობაში პოლიტიკური ძალების ფართოდ წარმოდგენა;

მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესების, ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;

საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა;

მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა, ანგარიშვალდებულება;

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

6.1.1 საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01 01)

საქართველოს მოსახლეობის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის მინდობილი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;

კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა;

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე. წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკით და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ქვეყნის დეოკუპაციის მისაღწევად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება და მათთან შეერთება;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება და მისი შესრულების საპარლამენტო კონტროლი;

საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

საერთაშორისო საპარლამენტაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფოთა პარლამენტების წევრებთან აქტიური თანამშრომლობა;

საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესების გადრმავება და მათ დირექტივებთან ჰარმონიზაცია;

საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიებისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა.

6.1.2 საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01 02)

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის ხელშეწყობისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე მათი ხელშეწყობა საქართველოს პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, კანონშემოქმედებითი და მაკონტროლებელი (საზედამხედველო) საქმიანობის განსახორციელებლად.

6.1.3 საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 01 01 03)

საქართველოს პარლამენტის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, საქართველოს პარლამენტის წევრების, კომიტეტების, საპარლამენტო ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის, საქართველოს პარლამენტის საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების უზრუნველყოფა;

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომების მომზადება, კანონპროექტებით უზრუნველყოფა და საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა;

საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა;

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება და დოკუმენტების გამოქვეყნება;

საქართველოს პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობის თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, გამართული მუშაობის და განვითარების

უზრუნველყოფა;

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მართვა, განვითარება და ტექნიკური უზრუნველყოფა;

საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს პარლამენტის გამგებლობისთვის მიკუთვნიებული სხვა საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა.

6.3 სახელმწიფო აუდიტის სამსახური (პროგრამული კოდი 05 00)

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით;

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული შესაძლებლობების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით;

გარე აუდიტის შესაძლებლობებისა და საკანონმდებლო მანდატის გაძლიერება;

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება, კერძოდ, სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვის და ეფექტიანობის ხელშეწყობა;

აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა;

ინფორმაციული სისტემების (IT) აუდიტის გაძლიერება;

თანამშრომელთა ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება, მათ შორის, დიდ მონაცემთა ანალიტიკის გაძლიერება;

პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავება;

შიდა კონტროლის სისტემისა და ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესება;

საერთაშორისო და დონორ პარტნიორ ორგანიზაციებთან პროფესიული თანამშრომლობის გაღრმავება;

წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირებისას მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება;

სექტორის აუდიტორთა სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

6.4 პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 03)

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა.

6.5 საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)

მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალ პროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ჩატარება და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და საარჩევნო პროცესებში ჩართულმა სხვა მხარეებმა თავისუფლად

განახორციელონ საარჩევნო უფლება;

ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება; დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა;

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდის და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა;

საარჩევნო გარემო: საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა;

საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

6.6

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)

ეფექტიანი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების სასამართლოებსა და არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობა; სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო ხასიათის (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა და ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია;

სამართლის ცალკეული დარგის განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა; სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს განვითარების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოებისთვის მომზადებული სახელმძღვანელოს ბოლო რედაქციის დამუშავება და წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის;

სახელმწიფო წარმომადგენლობა არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში კომერციულ და საინვესტიციო დავებზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერო-ს სახელმწიფოებო ორგანოებში სახელმწიფოთაშორის ან/და ინდივიდუალურ დავებზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა. ეროვნულ სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებზე სამინისტროს ინტერესების დაცვა, ხოლო ხელისუფლების დაწესებულებების წინააღმდეგ მიმართულ დავებში მონაწილეობა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის გათვალისწინებით, საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობა;

სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო ხასიათის (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი შეფასება/ექსპერტიზა. ხელშეკრულების პროექტის სამართლებრივი შეფასება მასში არსებული სამართლებრივი რისკების კონტექსტში და შესაბამისი დასკვნის პროექტის მომზადება;

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება, წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება, სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების შემუშავება;

ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ორ წელში ერთხელ განახლება, პროგრესის და შესრულების შეფასების ანგარიშების მომზადება; ეროვნულ დონეზე „ღია მმართველობის პარტნიორობის“ საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმის – „ღია მმართველობა – საქართველოს“ ფორუმის საქმიანობის ხელშეწყობა;

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაძლიერებაზე ზრუნვა; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის ხელშეწყობა; ადამიანთა წამების, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის პოლიტიკის განსაზღვრა, მისი განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი; ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის შემუშავება; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის საქმიანობის ორგანიზება.

6.7 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

ეროვნული საარქივო ფონდის შევსება მატერიალური ან/და ელექტრონულ მატარებელზე გადაყვანილი დოკუმენტებით, საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება, დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა, ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა;

საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებლებზე გადაყვანა, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების დედნების დაუზიანებლად შენარჩუნებასა და ეროვნული მემკვიდრეობის დაცულობას, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ასლების ხელმისაწვდომობას. ადგილობრივ არქივებში დაცული დოკუმენტების გადატანა/განთავსება რეგიონული არქივების გარემონტებულ შენობებში, სადაც საარქივო დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობებია შექმნილი. შიდა ქართლის რეგიონული არქივის ახალი შენობის მშენებლობა და აღჭურვა;

მოქალაქეზე ორიენტირებული სერვისების დანერგვისა და საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული სისტემის განახლება, გენეალოგიური მონაცემების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების (ტექსტური, ფოტოფონოვიდეოდოკუმენტები, რუკები) ელექტრონული კატალოგების შექმნა და განვითარება;

ერთიანი ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნისა და ელექტრონული დოკუმენტაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული არქივის დაკომპლექტების წყარო ორგანიზაციებიდან და ეროვნული საარქივო ფონდისადმი მიკუთვნებული დოკუმენტების მფლობელი სხვა პირებიდან ელექტრონული დოკუმენტების აღწერის, აღრიცხვისა და არქივირების ავტომატიზებული სისტემის შექმნა.

6.8 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება;

წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და წარდგენა;

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;

ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადებების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი განხორციელების შეფასება;

საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი გაზრდა;

ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება, მათ შორის, სოციალური რეკლამის დამზადება და მასმედიით გავრცელება;

სამიზნე აუდიტორიისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება;

საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენის ყოველთვიურად გამოცემა;

ადამიანის უფლებათა თემატიკაზე საჯარო დებატების გამართვა, კონკურსების ჩატარება, სხვადასხვა პუბლიკაციის გამოცემა და გავრცელება;

ტოლერანტობის კულტურის განვითარების და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა; ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის წარდგენა;

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელება რელიგიათა საბჭოს და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მონაწილეობით;

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა ცენტრსა და რეგიონებში;

არასრულწლოვანთა პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება;

სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი;

24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლისთვის მომზადების ზედამხედველობა;

საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული, გენდერული თანასწორობის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადებების/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;

საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისა და ამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების

ადვოკატირება;

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი;

ე. წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი;

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება;

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგი.

6.9 სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (პროგრამული კოდი 36 00)

საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მათ შორის, სამოქალაქო სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე, იურიდიული დახმარების გაწევა;

მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის ინფრასტრუქტურის განვითარება და ახალი ოფისის გახსნა;

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, სამსახურში დასაქმებული ადვოკატების სათანადო პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა;

იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

6.10 იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 07)

სახელმწიფო სერვისების მიწოდების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და შემდგომი გაუმჯობესება, ახალი პროდუქტების/სერვისების დანერგვა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროითი დანახარჯების შემცირება. დამატებით რამდენიმე კერძო და სახელმწიფო სერვისის ინტეგრაცია: სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, ენერგოკომპანიების, სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოსა და კერძო სექტორის სერვისები, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინა ხაზი. იუსტიციის სახლის სერვისების პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება და იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტი დაინტერესებულ ქვეყნებში;

ინფრასტრუქტურული ხარვეზები აღმოფხვრა, რაც ხელს შეუწყობს იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის მომსახურების შეუფერხებელ მიწოდებას;

იუსტიციის სახლის ფილიალების გახსნა დიდ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში (ბოლნისი, ხაშური, ქარელი).

6.11 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს სამართლებრივ აქტებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში მონაწილეობა; თანამშრომლობა სხვა უწყებებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან;

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული

საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი;

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება, ასევე, საჯარო და კერძო დაწესებულებებისათვის, ფიზიკური პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება);

ინსპექტორის გადაწყვეტილებების აღსრულებაზე კონტროლი;

სხვა სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შეფასება და მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის გაცემა კანონმდებლობის შესაბამისად;

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ინფორმირება მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე ტრენინგების, საჯარო შეხვედრების და სემინარების ორგანიზება;

სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობის მიღება მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, მათ შორის დასკვნების მომზადება მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებზე.

6.12 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და მოქალაქეებისათვის ელექტრონული სერვისების და მონაცემთა გაცვლის ეფექტიანად და უსაფრთხოდ უზრუნველყოფა ერთი ფანჯრის პრინციპით;

ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის განხორციელება; ინფორმაციული უსაფრთხოების შედარებადობის (მდგრადობის) ტესტირება; კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენაზე გამიზნული ქსელური სენსორის დაყენება და მართვა; კიბერუსაფრთხოების საკითხების რეგულირება; ინციდენტებზე დახმარების ეროვნული ჯგუფის მიერ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენა, პრევენცია და შედეგების მართვა;

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამოყენება, რომლის შემადგენელი კომპონენტებია სამი სახის აპარატურულ-პროგრამული მიმართულება/ინსტრუმენტი: „საქართველოს სამთავრობო კარიბჭე“ - ელექტრონული სერვისების მეშვეობით უსაფრთხო გარემოში სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლა; „მოქალაქის პორტალი“ - სახელმწიფო და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები, რომლებზეც შესაძლებელია ყველა დაინტერესებული პირის უსაფრთხოდ წვდომა ერთი ფანჯრის პრინციპით და „საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემა“ - ამ ეტაპზე ინტეგრირებული საკონტინერო გადაზიდვები და სახმელეთო და საჰაერო გადაზიდვების ეტაპობრივად დამატება; ეროვნული სისტემის ინტეგრირება მსგავსი პროფილის საერთაშორისო სისტემებთან;

ვებგვერდის (data.gov.ge) სრული მხარდაჭერა, რომელზეც სამოქალაქო და ბიზნესსექტორისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საჯარო, სტრუქტურული ინფორმაცია ქვეყნდება;

ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის - „რეესტრთა რეესტრის პორტალის“, ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა. რეესტრის სუბიექტის მონაცემთა ბაზების, რეესტრების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების წარმოების ერთიანი სტანდარტების დადგენისა და შესრულების კოორდინაცია. რეესტრის სუბიექტის მიერ მომსახურების შექმნის, გაუმჯობესებისა და ოპტიმიზაციის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, პირველადი მხარდაჭერის ქსელის აწყობა და სახელმწიფო დაწესებულებების ტრენინგმოდულებით

მხარდაჭერა.

6.13 მიწის ბაზრის განვითარება (WB) (პროგრამული კოდი 26 08)

საქართველოს მთავრობის მიერ შერეულ 12 საპილოტო არეალზე, საჯარო რეესტრის მიერ პროაქტიულად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მიწაზე უფლებათა რეგისტრაციის დასრულება;

რეგისტრირებულ მონაცემებზე ხარისხის კონტროლის განხორციელება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

მიწაზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის არსებული პოლიტიკისა და პროცედურების ეფექტურობის შეფასება;

მიწაზე უფლებათა რეგისტრაციის რეგულაციების სამართლებრივი ანალიზი და ხარვეზების გამოვლენა;

მიწის რეგისტრაციის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა და ამოქმედება;

მიწის რეგისტრაციის ელექტრონული პორტალის დანერგვა და ამოქმედება;

საპილოტო პროექტის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე მიწაზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის ეროვნული სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

6.14 სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო (პროგრამული კოდი 35 00)

საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის და ადამიანური რესურსების წლიური გეგმის შემუშავების პროცესების კოორდინაცია, საჯარო სამსახურის ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფა, მოხელისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების და მოხელეთა სწავლების ერთიანი სისტემის, აგრეთვე მოხელეთა კლასიფიკაციისა და ანაზღაურების ერთიანი სისტემის დანერგვა;

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების კანონით გათვალისწინებული სავალდებულო რაოდენობის მონიტორინგი;

საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა გადამზადება.

6.15 საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02)

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება;

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება.

6.16 სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები (პროგრამული კოდი 11 00 – 19 00)

სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინაციით თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავება;

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით წინადადებების მომზადება;

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი.

6.17 სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 52 00)

სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა;

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და დამკვიდრება;

სახელმწიფო ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა;

ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა, შენახვა, სიტემური კვლევა და განვითარება;

საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ენის როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და წარმოჩენა

7 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

ხელისუფლება გააგრძელებს დევნილთა საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას. გაგრძელდება დევნილი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მოხდება ბინების შესყიდვა მენაშენებისგან თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში, ასევე „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში მოხდება დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების შექმნა. 24 000-ზე მეტ დევნილ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში აქვს გადაცემული საცხოვრებელი ფართობი, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს საკუთრებაში გადაეცემათ საერთო სარგებლობის ფართობებიც (სხვენები, სარდაფები და სხვ.). გაგრძელდება კერძო მესაკუთრეებისგან იმ საცხოვრებელი ფართობების გამოსყიდვა, რომლებიც დევნილებს აქვთ დაკავებული. პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა, ერთი მხრივ, დონორებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტორებთან, რათა კერძო და საჯარო პარტნიორობის ფარგლებში აშენდეს ახალი საცხოვრებელი დევნილებისთვის როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. მნიშვნელოვნად გაძლიერდება მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და დევნილთა კოოპერაციის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. გაგრძელდება ეკომიგრანტი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესი. დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით 1000-მდე ეკომიგრანტი ოჯახისთვის სახლების შექმნა. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გაძლიერდება სხვადასხვა სოციალური პროგრამა. გაძლიერდება ხანდაზმულთა პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულება. პრობლემების მქონე ოჯახებთან მიმართებით გაიზრდება სოციალური მუშაკის როლი.

7.1 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 06)

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება;

ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა;

დევნილთა გრძელვადიანი განსახლება;

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება მესაკუთრეთა უფლებების აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.

7.1.1 სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (პროგრამული კოდი 27 06 01)

ევროკავშირის ქვეყნებიდან და სხვა გეოგრაფიული არეალიდან დაბრუნებული ქართველი მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

7.1.2 ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა (პროგრამული კოდი 27 06 02)

განხორციელდება სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ეკომიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა, დაზარალებული ოჯახებისთვის სამინისტროს მიერ 2012 წლამდე შესყიდული სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემა; ეკომიგრანტთათვის საცხოვრებელი სახლების შექმნა.

7.1.3 განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 06 03)

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება;

იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა, რომელიც ითვალისწინებს: სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების შესწავლას და შემდგომში მათ რეაბილიტაციას;

ქართველი მენაშენეებისაგან ბინების (კორპუსების) შესყიდვას ქვეყნის მასშტაბით;

სახლების შესყიდვას და საკუთრებაში გადაცემას დევნილი ოჯახებისათვის სულადობის მიხედვით;

ობიექტების (კოლექტიური ცენტრების იდენტიფიცირება, რომლებიც წარმოადგენენ კერძო საკუთრებას, მაგრამ მისაღებია დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისათვის) გამოსყიდვას კერძო მესაკუთრებისაგან და დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემას;

ფულადი დახმარების გაწევას იმ დევნილი ოჯახებისათვის, ვინც იპოთეკური სესხის საშუალებით შეიძინა საცხოვრებელი და აქვთ იპოთეკური ვალდებულება;

ყოფილი ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსებას;

საცხოვრებელი ფართობების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარებების გაწევას;

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება და მათ მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

7.2 იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 25 06)

იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ხანგრძლივი საცხოვრებელი პირობების შექმნა და საზოგადოებაში მათი ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია.

7.3 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება და კოორდინირება, ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება, სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელების კოორდინირება, ჩართულობის სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისება, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რეგისტრაციის და სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის ახალი სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის შექმნის, გამყოფი ხაზების გასწვრივ მომსახურების და ინფრასტრუქტურის განვითარების, ახალი სერვისების დანერგვის და ამოქმედების ხელშეწყობა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარემოს დაცვის ხელშეწყობა; ტერიტორიების მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მასალის და ტექნიკის, მცენარეთა მოვლის საშუალებების მიწოდების და სხვადასხვა პარაზიტებთან/მწერებთან ბრძოლაში დახმარების ხელშეწყობა. საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა და კოორდინაცია;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განათლების ყველა საფეხურისადმი წვდომის გამარტივების, განათლების სისტემაში ჩართვის ახალი სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის შექმნის ხელშეწყობა.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და საქართველოში მოქმედ საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის გამარტივების და ახალი შესაძლებლობების შექმნის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების გამარტივების, პროფესიულ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობის, აფხაზური ენის დაცვის და განვითარების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისებისადმი წვდომის გამარტივება და გაუმჯობესება, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდა, ოკუპირებული ტერიტორიებისთვის სხვადასხვა მედიკამენტებისა და სამედიცინო ტექნიკის მიწოდება. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან და საქართველო-ევროკავშირის შორის უვიზო მიმოსვლიდან გამომდინარე ყველა სარგებლისა და შესაძლებლობის შეთავაზება/გაზიარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, ცნობიერების ამაღლება ევროინტეგრაციის საკითხებზე. ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის ხელმისაწვდომობის და სამოქალაქო აქტების გაცემის გამარტივების ხელშეწყობა;

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების ორგანიზება. ყენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა;

გალში და ერგნეთში გამართული ინცინდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში მონაწილეობა. საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში, საერთაშორისო ფორუმებში და ფორმატებში მონაწილეობა, პარტნიორობთან მჭიდრო თანამშრომლობა; შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ფინანსური დახმარების მობილიზება; გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის დახმარების სახელმწიფო კომისიის თანა-თავმჯდომარეობა;

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 - 2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ განხორციელების კოორდინირება; სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის კოორდინირება; კომისიის ფარგლებში არსებული თემატური ჯგუფების მუშაობის წარმართვა;

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ შუალედური შეფასების მომზადება და წარდგენა; სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესში აქტიური კომუნიკაცია/თანამშრომლობა როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, ისე ეთნიკურ უმრავლესობასთან;

სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში და ამ მიზნით სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების განხორციელებაში ხელშეწყობა;

ეთნიკური უმცირესობების მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და პოპულარიზაციის, კულტურული მრავალფეროვნების წახალისების და თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა. კონკრეტული კულტურულ-საგანმანათლებლო და ინტერკულტურული პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა/განხორციელება;

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიის გამართვა;

რეპატრიანტის სტატუსის მქონე, ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა ფაქტობრივი რეპატრიაციის შემდგომ მიმდინარე პროცესების რეგულირება.

კონფლიქტით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის შერიგების, დიალოგის და კონტაქტების ხელშეწყობის მიზნით ნდობის, აღდგენისა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული პროექტებისა და ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა;

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების უზრუნველყოფის მიზნით კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ არასწორ/უარყოფით სტერეოტიპებთან და პროპაგანდასთან გამკლავების, მავთულხლართებისა თუ სხვა ბარიერების, ასევე ხელოვნური დაშორიშორების შედეგად ადამიანთა შორის ჩამოყალიბებული გაუცხოების აღმოფხვრა, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანება;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში ოჯახების დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, ნებაყოფლობით დაბრუნებული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საოჯახო მეურნეობების განვითარების მიზნით მატერიალური დახმარების გაცემა;

ეთნიკური უმცირესობის მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ეთნიკური უმცირესობის უფლებების დაცვის ხელშეწყობა და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია. მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულების ხელშეწყობა. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიითა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არაქართულენოვანი მედია საშუალებების, კერძოდ სომხურენოვანი გაზეთის შპს „ვრასტანის“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის შპს „გურჯისტანის“ მხარდაჭერა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტთან დაკავშირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და დანარჩენ საქართველოში არსებული სამარხებიდან ექსპუმირებული ნეშტების ამოცნობის პროცესის ხელშეწყობა და გადმოსვენების ღონისძიებების ორგანიზება;

8 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ყოველწლიურად იზრდება კულტურის განვითარებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობამ დაამტკიცა „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს კულტურის სექტორში. საქართველო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პირველია, რომელიც ევროკავშირის პროგრამის - „შემოქმედებითი ევროპის“ წევრი გახდა. დაიხვეწება კულტურასა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; შემუშავდება კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი, რომელიც შექმნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სათანადო საკანონმდებლო საფუძვლებს; გაგრძელდება ალტერნატიული გზების ძიება კულტურის სფეროს დაფინანსების მოძიებისთვის და დივერსიფიკაციისთვის. გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით რეგიონების მოსახლეობისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისათვის; განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურისა და ძეგლთა დაცვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად; მოხდება კულტურის პოპულარიზაცია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის; ხელი შეეწყობა მედიისა და მაუწყებლის პოტენციალის გამოყენებას კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის; ხელი შეეწყობა ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციასა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით ქართველი ხელოვანების მონაწილეობას მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში; ხელი შეეწყობა კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებას და თანამშრომლობით პროექტებს, ინსტიტუციურ, ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ დონეზე; გაგრძელდება სახელოვნებო

განათლების განვითარების ხელშეწყობა, დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება; უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფეხბურთისა და რაგბის კომბინირებული მოედნები. რეგიონალურ ცენტრებში აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი სპორტის სასახლეები; შეიქმნება სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ეფექტიანი მოდელი, რომელიც საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული; მომდევნო 4 წლის განმავლობაში გაგრძელდება საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე სხვადასხვა დონის საფეხბურთო კლუბებისა და პროგრამების ხელშეწყობა; ხელი შეეწყობა საფეხბურთო გუნდების კერძო საკუთრებაში გადაცემას, ბავშვთა და ქალთა ფეხბურთის, ასევე ასაკობრივი გუნდების (მათ შორის, ნაკრების) განვითარებას; ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან კოორდინაციით, შემუშავდება სპორტული ტურიზმის განვითარების სტრატეგია, რაც ქვეყნის პოპულარიზაციასთან ერთად, განაპირობებს არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის ეფექტიან გამოყენებას; გაგრძელდება ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის, არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების, ჰობი-განათლებისა და რეკრეაციული პროექტების დაფინანსების კუთხით; გაიზრდება ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით.

8.1 მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 32 12)

ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადების და მონაწილეობის ხელშეწყობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, საერთაშორისო ტურნირები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, სასწავლო საწვრთნელო შეკრებები).

საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება; სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების ხელშეწყობა.

მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა; „სპორტი ყველასათვის“ მოძრაობის განვითარება; მასობრივი სპორტული ღონისძიებების გამართვა;

ოლიმპიური, პარალიმპიური, სურდლიმპიური, სპეციალური ოლიმპიური და სხვა მოძრაობების განვითარების ხელშეწყობა;

სპორტულ ორგანიზაციებში „კარგი მმართველობის“ პრინციპების დანერგვის მიზნით, დაგეგმვის ეტაპზე მონაწილეობა და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება.

საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობა და მასობრივი სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ორგანიზება. საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის ცნობადობის და იმიჯის ამაღლება, სპორტული ტურიზმის განვითარება;

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთში მონაწილე კლუბების საბაზისო დაფინანსება. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთში მონაწილე კლუბების ფინანსური სტიმულირება; საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთში მონაწილე კლუბების საპრიზო და პრემიალური ფონდის განკარგვა;

მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშეწყობი პროგრამების განხორციელება;

8.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 10)

სახელოვნებო დარგების განვითარების, სახელოვნებო ტრადიციების შენარჩუნებისა და ხელოვნებაში უახლესი ტექნოლოგიების, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა;

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელოვნებო ორგანიზაციების პროგრამების მხარდაჭერა;

კულტურული დიპლომატიის ფარგლებში ქართული კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა და საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ინტეგრირება;

ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავება და თანამშრომლობა;

ქვეყანაში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა და შშმ პირთა ჩართულობის მხარდაჭერა;

სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლების პოპულარიზაცია, მოსწავლეებისა და სტუდენტების სწავლების ინოვაციური მეთოდების წახალისება და დანერგვა;

საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში კულტურული პროგრამების, პროექტების მხარდაჭერა; ადგილობრივი კულტურული მარშრუტების განვითარება, ახალი თემატური კულტურული მარშრუტების ინიცირება და „ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები“-ს პროგრამაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის ღონისძიებების ხელშეწყობა პოპულარიზაცია.

8.3 მათწიველობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 42 00)

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების მომზადება და მათი გაშუქების უზრუნველყოფა.

8.4 კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 32 13)

საქართველოში მცხოვრები ოლიმპიური ჩემპიონებისთვის, საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრებისთვის, მწვრთნელებისთვის, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისთვის და პერსპექტიული სპორტსმენებისთვის ყოველთვიური სტიპენდიის გაცემა.

ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკებისთვის ყოველთვიური და ერთჯერადი სოციალური დახმარებების გაცემა;

მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა;

სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების, რუსთაველის პრემიის ლაურეატების და ხელოვნების მუშაკთა სოციალური დახმარების გაცემა; დაცვა.

8.5 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 32 11)

„კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ქვეყნის სამუზეუმო სისტემის საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში ინტეგრაციის, მისი თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოების და დღეს არსებული პრობლემური ასპექტების მოწესრიგების უზრუნველყოფა;

შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ეროვნული უმცირესობათა კულტურის წარმოჩენის მიზნით;

უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირების ხელშეწყობა;

საქართველოს მუზეუმების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დაცვა და პოპულარიზაცია, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის პრევენციული ზომების მიღება, სამუზეუმო ფონდების სისტემატიზაციისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, სამუზეუმო ფაეულობათა

ელექტრონული სისტემის egmc.gov.ge წარმოება-ადმინისტრირება, ღონისძიებების გატარება მუზეუმების პოპულარიზაციისთვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება;

მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობისა და შემოსავლების ზრდა;

საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა-განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, მათ შორის UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით;

მენეჯმენტის გეგმის მომზადება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის;

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება;

კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა;

კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა.

8.6 სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი (პროგრამული კოდი 45 01)

ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში) საქართველოს საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაციის (სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები) დაფინანსება.

8.7 ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 32 08)

სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობით ახალგაზრდობში სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა;

სოციალური მეწარმეობაში ჩართვის გზით ახალგაზრდული კავშირების გაძლიერების ხელშეწყობა;

ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა, ახალგაზრდული მუშაკების გადამზადება და სერტიფიცირება, ახალგაზრდობში მოხალისეობრივი უნარჩვევების განვითარება, მოხალისეობის კულტურის პოპულარიზება;

ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ეთნიკური/ეროვნული უმცირესობებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მოზარდებსა და ახალგაზრდობზე ზრუნვის ხელშეწყობა, მოზარდთა

ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბების და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით შემოქმედებითი და დასვენება გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება;

კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით;

სხვადასხვა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება;

ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა;

ბანაკების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

8.8 სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (პროგრამული კოდი 50 00)

საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა;

რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;

საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების უზრუნველყოფა.

9 საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

მშვიდობიანი და მდგრადი განვითარების საფუძველი უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. ხელისუფლების მიზანია თანამედროვე, სტაბილური, განვითარებული დემოკრატიის ევროპული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის გაგრძელება და მისი ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანა. ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციაა; საქართველოს მთავრობის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, ქვეყნის დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რაც მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი. პრევენციისათვის, ისევე, როგორც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ძალისხმევის კონსოლიდაციას. გაგრძელება მუშაობა საქართველოში დღეს არსებული ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმის - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრულად განხორციელების ხელშეწყობად. საქართველოს მთავრობა ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის ფარგლებში, მიმართავს ძალისხმევას საერთაშორისო თანამეგობრობისათვის საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებასა და აღიარების შესაძლო რისკების პრევენციისკენ. კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილი მოსახლეობის შერიგებასა და ნდობის აღდგენას, ომით დაშორებულ საზოგადოებებს შორის პირდაპირი დიალოგის და შერიგების პროცესის წახალისების, ნდობის აღდგენისკენ მიმართული კონკრეტული პროექტების, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარულ საჭიროებებზე რეაგირების, სახალხო დიპლომატიის და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით. საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო წარმოჩენდეს როგორც სტაბილური და უსაფრთხო ქვეყანა, რომელიც დემოკრატიული განვითარებისა და წარმატებული რეფორმების მხრივ რეგიონის ლიდერია. მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის პოზიტიური იმიჯის ფორმირებისათვის იგეგმება საქართველოში გატარებული რეფორმებისა და მიღწევების საზღვარგარეთ აქტიური პოპულარიზაცია და ამ მხრივ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებისთვის შესაბამისი გამოცდილების გაზიარება. საქართველოს, როგორც უძველესი ისტორიისა და მრავალფეროვანი კულტურის მქონე ქვეყნად, წარმოჩენისათვის საჭიროა აქტიური კულტურული დიპლომატიის წარმოება. მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება

საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მეტი ჩართულობის ხელშეწყობისაკენ. განხორციელება ძალისხმევა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში, საერთაშორისო კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებისა და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების ხელშეწყობის მიმართულებით. გაგრძელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ქალაქებსა და რეგიონებს შორის კონტაქტების დამყარებისა და გაღრმავების ხელშეწყობა. გაგრძელდება გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO) აქტიური თანამშრომლობის გზით საქართველოს კულტურული და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა; მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების, როგორც ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშეწყობი ფაქტორის, პოპულარიზაცია და ახალი ძეგლების ნომინირების პროცესის ხელშეწყობა, ასევე გაგრძელდება თანამშრომლობა UNESCO-სთან საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული პრობლემატიკის მოგვარების ხელშეწყობის მიზნით. ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ ქართული დიასპორის ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დიასპორის ჩართულობას მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნის პოპულარიზაციისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის განმტკიცების საკითხში. მთავრობა აქტიურად იქნება ჩართული იმ ცალკეული სოციალური საკითხების გადაჭრის პროცესში, რომლებიც აწუხებს ქართულ დიასპორას. მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი დიასპორის წარმომადგენლებისთვის ეფექტიანი იურიდიული და საკონსულტაციო მექანიზმის შეთავაზება და ადგილზე დახმარება. საქართველოს მთავრობა კვლავ გააგრძელებს სტრატეგიულ თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან; საქართველოს მთავარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იქნება ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და სტრატეგიულ პარტნიორობაზე ორიენტაცია. საქართველოს მთავრობა გააგრძელებს მუშაობას საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგების ევროპის ქვეყნებში სრულფასოვნად წარმოჩენისა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის გაზრდის უზრუნველყოფის მიმართულებით. აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული აზრეშუმის გზისა და ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი სატრანზიტო ფუნქციის მქონე ქვეყნისთვის. მრავალმხრივი დიპლომატია - საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ ფარგლებში არსებულ ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობა, მათ შორის, ქვეყნის შიგნით მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, ადამიანის უფლებათა განმტკიცების, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაზრდის, ომით გაყოფილ საქართველოს მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შექმნის მიმართულებებით. სტრატეგიული კომუნიკაცია - საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების მიღწევისათვის აუცილებელია აქტიური სტრატეგიული კომუნიკაცია მთავრობის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს ქვეყნის საგარეო კურსის მიმართ მოსახლეობის მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნება. ციფრული დიპლომატიის მეშვეობით გაგრძელდება მოქალაქეებთან პირდაპირი და უშუალო კონტაქტის დამყარება და მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ქვეყნის შიდა და გარე აუდიტორიის პროაქტიული ინფორმირება. გაგრძელდება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა, რაც ასოცირების შეთანხმების წარმატებით განხორციელების, ქვეყანაში ევროინტეგრაციის საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შემდგომი კონსოლიდაციის, ასევე არსებული ცოდნისა და გამოცდილების მობილიზების შესაძლებლობას იძლევა.

9.1 საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელება;

ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით ევროკავშირთან თანამშრომლობის ყველა არსებული მექანიზმის გამოყენება;

ნატო-ში გაწევრიანებისათვის მოსამზადებლად მუშაობა არსებული პოლიტიკური და

პრაქტიკული ინსტრუმენტების გამოყენებით;

აშშ-თან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის, ასევე, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის და არსებული მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში;

აშშ-ს როლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერასა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში;

ევროპის ქვეყნებთან როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და ახალ საფეხურზე აყვანა;

რეგიონული სტაბილურობის ხელშეწყობა და დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკის გატარება;

აზიისა და ოკეანეთის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში;

საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაერო, ევროპის საბჭო, ეუთო) აქტიური ჩართულობა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარება/პოზიციონირება;

პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ქართული ექსპორტისა და საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება, საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობით, მრავალმხრივ ფორმატებში ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

საზღვარგარეთ საქართველოს პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა;

დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების უზრუნველყოფა;

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტური მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით მუშაობის გაუმჯობესება.

9.1.1

საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერისა და ქმედითი ჩართულობის ხელშეწყობა; მუდმივი ინფორმირება ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარებისა და რუსეთის უკანონო ნაბიჯების შესახებ;

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მობილიზება;

რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მიზნით საერთაშორისო თანამეგობრობასთან აქტიური თანამშრომლობა;

იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების ხელშეწყობა;

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე საგნობრივი დისკუსიებისა და პროგრესის მიღწევის ხელშეწყობა;

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან თანამშრომლობა ადგილზე ვითარების ესკალაციის პრევენციისა და მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების მიზნით;

ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ურთიერთობების გაღრმავების პროცესში საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა;

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის შემდგომი განმტკიცება;

კონსულტაციების გამართვა გაეროს დარჩენილ წევრ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად, არსებული საელჩოებიდან დიპლომატიური გადაფარვის გაგრძელება და გაფართოება;

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის (Roadmap2EU) შემუშავების დასრულება და მისი განხორციელების დაწყება;

ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის ეფექტიანი წარმართვა და გაღრმავება;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების ახალი დღის წესრიგის (2017-2020) ეფექტიანი განხორციელების კოორდინაცია;

„ადმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში;

უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხების შემდგომი მონიტორინგის პროცესის გაგრძელება და აქტიური თანამშრომლობა ევროკომისიასთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან;

ევროკავშირის დახმარების პროგრამების ეფექტიანი დაგეგმვა და განხორციელება;

ევროკავშირის ე.წ. თანამეგობრობის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ეფექტიანობის გაზრდა და ევროკავშირის სპეციალიზირებულ სააგენტოებთან მაქსიმალური ინტეგრაცია;

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში ალიანსთან პრაქტიკული და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება;

2019 წლის ნატო-ს სამიტზე მოკავშირეების მხრიდან საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის დაფიქსირება;

წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების სათანადოდ წარმოჩენა;

ნატო-საქართველოს „არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ განხორციელების ხელშეწყობა; ნატო-ს წევრ ქვეყნებთან აქტიური პოლიტიკური კონსულტაციების წარმოება;

აშშ-ის ადმინისტრაციასთან, როგორც უმაღლესი და მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის, ისე სტრატეგიული პარტნიორობის ყველა მიმართულებით, მათ შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება; აშშ-ის მხარდაჭერისა და დახმარების ზრდა; აშშ-ის მხარდაჭერის გაძლიერება თანამშრომლობის მრავალმხრივ ფორმატებში;

მუშაობის გაგრძელება მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო დიალოგის ფარგლებში, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მომავალში გაფორმების მიზნით;

აშშ-ის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე ბიზნეს წრეებთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან და კვლევით ორგანიზაციებთან მჭიდრო და ქმედითი თანამშრომლობა;

ევროპის ქვეყნებთან არსებული ურთიერთობების გაღრმავება პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში;

სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება თურქეთთან და აზერბაიჯანთან, კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების შემდგომი განმტკიცება სომხეთთან; საქართველო-აზერბაიჯანის და საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხზე მოლაპარაკებების წარმართვა პროცესის განახლების მიზნით;

რუსეთის ფედერაციასთან, რაციონალური და დეესკალაციის პოლიტიკის ფარგლებში, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და ხალხთაშორისი კონტაქტების ხელშეწყობა; რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებზე დროული რეაგირება და შესაძლებლობების ფარგლებში პრევენცია;

აზიისა და ოკეანეთის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის კონტინენტის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, მათ შორის რეგიონულ ორგანიზაციებთან; საქართველოს მიმართ პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა; ტრადიციულ პარტიონებთან არსებული ურთიერთობების განმტკიცება, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების ხელშეწყობა;

საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების, ასევე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში მათი როლის გაძლიერების მიზნით; საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში საქართველოს აქტიური მონაწილეობა და წარმომადგენლობითობის გაზრდის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კამპანიების წარმოება;

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობისათვის (2019 წლის ნოემბერი-2020 წლის მაისი) მომზადება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა; ევროპის საბჭოს 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება.

შეიარაღებაზე კონტროლის, განიარაღებისა და გაუვრცელებლობის საერთაშორისო ფორმატებში დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავება; თანამედროვე გამოწვევებთან ბრძოლის მიმართულებით პარტნიორ სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გააქტიურება;

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაღრმავება;

სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში მრავალმხრივი თანამშრომლობა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება;

საქართველოს ცნობადობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს წარმოჩენის ხელშეწყობა;

ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში, მათ შორის გაერთიანებული ერების განათლების,

კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO), ფრანკოფონიასთან, CPLP-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთაშორისო კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარება და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების, ასევე ახალი ძეგლების ნომინირების პროცესის ხელშეწყობა; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში მათი აქტიურად ჩართვა.

საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის, მათი რესტავრაცია/კონსერვაციის მიზნით ერთობლივი პროექტების შემუშავების ხელშეწყობა;

საზღვარგარეთ საკონსულო სამსახურების გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება და თანამედროვე ტექნოლოგიების და ახალი მექანიზმების დანერგვა/ გაუმჯობესება;

საჭიროების მიხედვით, ახალი საკონსულო დაწესებულებების გახსნა და საპატიო კონსულების ქსელის გაფართოება;

სამართლებრივი ბაზის დახვეწა და საკონსულო სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავება;

შესაბამისი ღონისძიებების გატარება საქართველოს მოქალაქეთათვის საზღვარგარეთ თავისუფალი გადაადგილების არეალის გაფართოების მიზნით.

9.1.2 **საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)**

საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური წევრობა ქვეყნის ეროვნული ინტერესების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

9.1.3 **საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)**

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა/დამოწმება;

სათარგმნი მასალების რაოდენობის და სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრების სინქრონული თარგმნით მომსახურების გაზრდა; გასაფორმებელი კონტრაქტების რაოდენობის გაზრდა;

თარჯიმანთა კვალიფიკაციის და გამოცდილების ამაღლება;

მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, ტრენინგების ჩატარება;

მაღალი ხარისხის თანამედროვე, სინქრონული და ციფრული აპარატურის შეძენა;

საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებებისაგან, აგრეთვე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან ინფორმაციის მიღება ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა დადებულ უნდა იქნეს, ასევე კონვენციებთან და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან მიერთების თაობაზე, სავარაუდო დროისა და მოცულობის მითითებით ბიუროს მუშაობის კოორდინაციისა და ძალების უკეთესად განაწილების მიზნით.

9.1.4 **დიასპორული პოლიტიკა (პროგრამული კოდი 28 01 04)**

თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების ერთობლივი ინტერესების განხორციელება;

თანამემამულეებისათვის სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დიასპორასთან დაკავშირებული საკითხების, წინადადებების, პროექტების შემუშავებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფოსა და დიასპორას შორის ორმხრივ სარგებლიანობაზე დაფუძნებულ მდგრადი კავშირის ხელშეწყობა,

დიასპორისათვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ პერიოდულად განახლებადი ელექტრონული ბაზის შექმნა და სრულყოფა;

დიასპორულ ორგანიზაციებთან და დიასპორის წარმომადგენლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება;

დიასპორული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;

9.1.5

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება (პროგრამული კოდი 28 01 05)

საქართველოს ევროკავშირისა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;

საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში გატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება;

შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოსახლეობაზე ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენციის და შემცირების მიზნით;

საზოგადოებაში ევროკავშირისა და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა;

დასახული მიზნების განხორციელებისთვის აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებასთან, დიპლომატიურ კორპუსთან, მედიასთან;

აქტიური კომუნიკაციის გაგრძელება საჯარო დისკუსიების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, საზაფხულო სკოლების, სასწავლო ვიზიტების და საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით ინფორმაციის გამავრცელებელ ჯგუფებთან, მოსწავლეებთან/სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, საჯარო მოხელეებთან/ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სასულიერო პირებთან, მედიასთან, ეთნიკურ უმცირესობებთან, გამყოფ ხაზებთან ახლოს მდებარე სოფლების მოსახლეობასთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, ფერმერებთან/მეწარმეებთან და სხვა.

10

სოფლის მეურნეობა

მთავრობა გააგრძელებს აქტიურ აგროპოლიტიკას, რომლის მიზანი იქნება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა და სოფლის განვითარება. სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა იქნება საქართველოს მთავრობის აგროპოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის რაციონალური მართვის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება ღონისძიებები ფერმერთა რეესტრისა და მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემის

შექმნის მიმართულებით. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დეგრადირებული ნიადაგების გამოკვლევას და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებებს. შემუშავდება სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდაზე. სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვას - შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას. ამით უზრუნველყოფილი იქნება დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაცია. დაიხვეწება აგროდაზღვევის პროექტი, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ინტერესების დაცვას. გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები. განვითარდება და გაუმჯობესდება სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები. დამტკიცდება სატარიფო მეთოდოლოგია. ხელი შეეწყობა მორწყვის თანამედროვე სისტემების დანერგვას და წყალმომხმარებელთა გაერთიანებების ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დარგში დასაქმებულთა ცოდნის ამაღლებას, აგრობიზნესზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას და შესაბამისი ექსტენციის პაკეტების შემუშავებას. ჩამოყალიბდება თანამედროვე ექსტენციის მოქნილი სისტემა. გაგრძელდება მუშაობა ფერმერებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით. მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, განისაზღვრება ძირითადი ინდიკატორები და შემუშავდება შესაბამისი მეთოდოლოგია. გაგრძელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი, მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი სრულყოფა. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროები დაუახლოვდება DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას, რაც განხორციელდება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში. ეს უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, აგრეთვე მცენარეთა სიჯანსაღის დაცვას, შიდა ბაზარზე ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას და აგროსასურსათო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის ზრდას, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკის განვითარებაში და ქვეყნის, როგორც საიმედო სავაჭრო პარტნიორის, იმიჯის დამკვიდრებაში. ქვეყანაში ბიოაგრომეურნეობების განვითარების და ასევე კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დამკვიდრების მიმართულებით განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. გაუმჯობესდება მონაცემთა შეგროვების, გავრცელებისა და გამოყენების კოორდინირებული სტატისტიკური სისტემა. დაიხვეწება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის საინფორმაციო სისტემა. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

10.1 ერთიანი აგროპროექტი (პროგრამული კოდი 31 05)

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამმუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით;

აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა;

სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა;

კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გავლურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

10.1.1 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (პროგრამული კოდი 31 05 01)

ერთიანი აგროპროექტის პროგრამით დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტიანი განხორციელება.

10.1.2 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 31 05 02)

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების (საწარმოების) იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებზე სესხები (ან ლიზინგი) გაიცემა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებიდან, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს ამ სესხების (ლიზინგის) საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას და ზოგ შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებს როგორც სესხების უზრუნველყოფაში, ისე უზრუნველყოფის სახით წარდგენილი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვაში (პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირი. სესხის (ლიზინგის) მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამამუშავებელი წარმოებების საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება).

10.1.3 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 31 05 03)

შესაბამისი ღონისძიებების გატარება აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

სადაზღვევო კომპანიების მიერ ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირების მიზნით სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა, ხოლო ააიპ პროექტების მართვის სააგენტოს მიერ სადაზღვევო პრემიების თანადაფინანსება, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.1.4 დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი 31 05 04)

სანერგე მეურნეობების განვითარების და ბაღების ინტენსიური გაშენების ხელშეწყობა;

მრავალწლიანი კულტურების გაშენების (ბაღების) კომპონენტი: შესაძენი ნერგების ღირებულების 70 %-ის და წვეთოვანი სარწყავი სისტემის შეძენისა და მონტაჟის ღირებულების 50 %-ის დაფინანსება, მაგრამ არაუმეტეს 100 000 ლარისა ერთ ბენეფიციარზე;

სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი: სანერგე მეურნეობის მოწყობის პროექტის (ბიზნეს-გეგმა) ღირებულების 50 %-ის დაფინანსება, მაგრამ არაუმეტეს 150 000 ლარისა ერთ ბენეფიციარზე.

10.1.5 ქართული ჩაი (პროგრამული კოდი 31 05 05)

საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტიანი კოოპერაციის ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაის) წარმოების ხელშეწყობა;

კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ხარჯის თანადაფინანსება კომპანიებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა მათი ბიზნესოპერატორებისთვის იჯარით გადაცემით;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ჩაის გადამამუშავებელი დანადგარების თანადაფინანსება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.1.6 სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 31 05 06)

იმპორტის ჩამანაცვლებელი პროდუქციის წარმოების, აგრეთვე ადგილობრივი სანედლეულო ბაზის განვითარების მიზნით სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი აღჭურვა თანამედროვე საწარმოო ხაზით/ტექნოლოგიებით .

10.1.7 ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი (პროგრამული კოდი 31 05 07)

ფერმათა/ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემას დარეგულირების მიზნით, სასოფლო-

სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა; რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს ფლობდეს სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისათვის და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტების/პროგრამების საჭიროებისამებრ დაგეგმვისთვისა და განხორციელებისთვის.

10.1.8 იმერეთის აგროზონა (პროგრამული კოდი 31 05 08)

იმერეთის რეგიონში, 125ჰა მიწის ნაკვეთზე შეიქმნება სასათბურე კლასტერი. სასათბურე კლასტერის ტერიტორიაზე გაშენდება სხვადასხვა ტიპის სასათბურე მეურნეობები საერთო ფართობით დაახლოებით 70-80ჰა, სადაც მოყვანილი იქნება ძირითადად მწვანილი და სასათბურე ბოსტნეული. იმერეთის აგროზონის ტერიტორიაზე დამოუკიდებელ სუბიექტად წარმოდგენილი იქნება საექსპორტო/კონსოლიდატორი კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს სასათბურე კლასტერის ტერიტორიაზე მიღებული მოსავლის შესყიდვას და შემდგომ საექსპორტოდ გამზადებას. სახელმწიფოს მიერ მოხდება იმერეთის აგროზონის ტერიტორიის კეთილმოწყობა და ტერიტორიაზე ყველა საჭირო კომუნიკაციის (დენი, გაზი, წყალი, კანალიზაცია) მიყვანა. აღნიშნული მოახდენს საქართველოში არსებული მწვანილის საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას.

10.1.9 მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი (პროგრამული კოდი 31 05 09)

პროგრამის მიზანია საქართველოში არსებული (მათ შორის სახელმწიფო პროგრამების საშუალებით გაშენებული) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ეფექტურად აღება. რომლის ფარგლებში განხორციელდება: აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება შესაბამისი აგროვადების დაცვით; სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (მოსავლის ამღების) მიმართულებით. პროგრამა ითვალისწინებს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (მოსავლის ამღები) შესყიდვის საგრანტო თანადაფინანსების გზით. სააგენტოს საგრანტო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (მოსავლის ამღები) ღირებულების არაუმეტეს 50%-ს არაუმეტეს 150,000 ლარისა. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ან საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი (მათ შორის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი), რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას;

10.1.10 ტექნიკური დახმარების და მარკეტინგის პროექტი (პროგრამული კოდი 31 05 10)

ფინანსური დახმარების საშუალებით, ხარისხიან მარკეტინგულ სერვისებზე წვდომა. პროდუქტებისთვის USP (Unique Sales Proposition) შექმნა; სხვადასხვა ბაზრებზე (ლოკალური და საერთაშორისო) შესვლასა და სათანადო პოზიციონირებაში დახმარება. მარკეტინგული ინფორმაციის შექმნა და აღნიშნულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვა;

10.2 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 31 07)

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიზნით: წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა;

სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა და ფერმერების სწავლება;

გრანტების გაცემა პირველადი წარმოების და აგრობიზნესის განვითარებისათვის;

მიწის აღდგენის სამუშაოების განხორციელება.

10.2.1 სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (პროგრამული კოდი 31 07)

01)

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;

შესაბამისი საინჟინრო კვლევების, დაპროექტების, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის განხორციელება;

სპეციალური ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობებისა და დამხმარე საშუალებების შექმნა სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

10.2.2 **სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 31 07 02)**

შპს „საქართველოს მელიორაციის“ სუბსიდირება სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების, მექანიკური სატუმბო სადგურების ფუნქციონირებისათვის მოსახმარი ელექტროენერჯის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსება.

10.2.3 **ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) (პროგრამული კოდი 31 07 03)**

ზედა რუს მაგისტრალური არხის, ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხისა და ქვემო სამგორის მარჯვენა მაგისტრალური არხის სრული რეაბილიტაცია, (მოიცავს სათავე ნაგებობების, მაგისტრალური არხების, პირველი და მეორე რიგის გამანაწილებელი არხებისა და შიდა სამეურნეო ქსელების აღდგენა-რეაბილიტაციას);

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინსტიტუციონალური გაძლიერება და თანამდროვე ტექნიკით აღჭურვა.

10.2.4 **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (GEF, IFAD) (პროგრამული კოდი 31 07 04)**

შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვების (ვაშლი, ატამი/ნექტარინი, -, ხურმა, დაფნა, ბოსტნეული, კენკრა, თაფლი, ყვავილები, კაკალი) ხელშეწყობა;

შერჩეულ კულტურებთან დაკავშირებულ საირიგაციო სისტემების შიდა სამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

მიწის აღდგენითი სამუშაოები (მაგ. ნაპირსამაგრები, ჯებირები, ხიდები და ა.შ.); თანამდროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა;

ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორისათვის ეროვნული საადაპტაციო გეგმის მომზადება;

გაიცემა გრანტები, ორი მიმართულებით:

მცირე გრანტები პირველადი წარმოებისათვის (თანხის მაქსიმალური ოდენობა 15,000 აშშ დოლარისეკვივალენტი ლარში), რომლის მიზანია მოსავლიანობის ზრდა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება გაუმჯობესებული ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით;

მსხვილი გრანტები აგრობიზნესისთვის (მაქსიმალური ოდენობა 100,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში), რომლის მიზანია მოქმედი საწარმოების მოდერნიზაცია/განახლება, მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ხარისხისა და მოცულობის გაუმჯობესების მიზნით.

10.2.5 **ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (ORIO) (პროგრამული კოდი 31 07 05)**

ლილო მარტყოფის არხის, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვედა მაგისტრალური

არხის მეორე და მესამე რიგის გამანაწილებლების, ზედა მაგისტრალური არხის, მეორე და მესამე რიგის გამანაწილებლების და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია.

10.3 **სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსამედობა (პროგრამული კოდი 31 02)**

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი;

ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური, იმულებითი ღონისძიებებისა და ლაბორატორიული კვლევების განხორციელება ;

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

მიმოქცევაში არსებულ ვეტერინარულ პრეპარატებზე სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი;

ცხოველებში ვეტპრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების არსებობის კონტროლი;

საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება;

პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;

სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა;

ქვეყნის ტერიტორიის მონიტორინგის (მავნებლის გამოჩენის და მისი რიცხოვნობის დაფიქსირება ფერომონიანი ხაფანგების საშუალებით) საფუძველზე, თანამედროვე სპეციფიკური შესასხურებელი ტექნიკის გამოყენებით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება აზიური ფაროსანას პოპულაციის რიცხოვნობის შემცირების მიზნით, კერების ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია.

10.4 **მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 31 03)**

ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და პრესტურების მოწყობა;

სპეციალიზებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება და მათი გამოქვეყნება;

სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა საქართველოს და საერთაშორისო ბაზრებზე;

ალკოჰოლიანი სასმელების სასერტიფიკაციო ნიმუშების ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;

მევენახეობის კადასტრის დანერგვა;

ვენახეების ფართობების აღრიცხვა;

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწებისა და მერქნის მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით შესწავლის ხელშეწყობა და არქეოლოგიურ გათხრებში

თანამონაწილეობა წიპწების მოპოვებისათვის;

ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.5

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 31 04)

აგრარულ სფეროში დასაქმებულთათვის თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა;

საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მიკროსასელექციო გუნდების შექმნა;

ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა;

ერთწლოვანი კულტურების პირველადი მეთესლეობის განვითარება;

თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ბიოაგროწარმოების დანერგვის ხელშეწყობა;

სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასება;

ხილისა და ბოსტნეულის შენახვის უნარიანობისა და ნედლად შენახვის ტექნოლოგიების კვლევა-შემუშავება;

საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეგიონების ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება;

მეღვინეობის სამეცნიერო - კვლევითი მარანის მშენებლობა.

10.6

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 31 06)

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მიზნით: მეფუტკრე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფა (ფუტკრის სკები, საწურები და სხვა). რძის მწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე რძის საწარმოსთვის საჭირო თანამედროვე აღჭურვილობის გადაცემა;

ხორბლის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა;

მაღალმთიან რეგიონებში: ხორცის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება, კარტოფილის შესანახი სასაწყობე მეურნეობის და ხილის საშრობების მოწყობა;

ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში კოოპერატივების მონაწილეობის ხელშეწყობა;

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;

კოოპერატივების ბრენდირება;

მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობა.

11

სასამართლო სისტემა

მომდევნო 4 წლის განმავლობაში საქართველოში კიდევ უფრო გაძლიერდება ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები. ძლიერი, კვალიფიციური და დამოუკიდებელი

სასამართლო არის ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი. მთავრობის მოქმედებები მიმართული იქნება სასამართლო სისტემის ნდობის ამაღლებასკენ. მთავრობის პრიორიტეტია თითოეული მოქალაქის და კერძო სექტორის რწმენის ამაღლება ქართული მართლმსაჯულებისადმი. გაგრძელება და დასრულება მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ტალღა, რაც ბოლომდე მიიყვანს სასამართლო სისტემის რეფორმას როგორც ინსტიტუციურ დონეზე სასამართლოს დამოუკიდებლობის, ისე ცალკეული მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. სასამართლოს რეფორმის მესამე ეტაპის განხორციელების შედეგად დაიხვეწება მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის წესი და დისციპლინური წარმოების პროცედურები; საქმეები განაწილება შემთხვევითობის წესით, ელექტრონული ფორმით. განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა. მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა. 2017 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ერთ-ერთ დიდ სასამართლოში საპილოტე წესით დაინერგება საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა. მიმდინარე წლის ზაფხულში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უკვე შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელდება. საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნება კომერციული კოლეგიები და პალატები, რომლებიც სპეციალიზებული იქნება კომერციული და საგადასახადო საქმეების განხილვაზე - რეფორმის შედეგად მკვეთრად გაიზრდება მართლმსაჯულების ხარისხი და სისწრაფე კომერციულ და საგადასახადო დავებზე, საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების მეშვეობით ხელი შეეწყობა მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, დამკვიდრებას და განვითარებას, რამაც მთლიანობაში ხელი უნდა შეუწყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და ეკონომიკის წინსვლას.

11.1 სასამართლო სისტემა (პროგრამული კოდები 07 00 – 10 00)

სასამართლოთა შენობების სამშენებლო და სარემონტო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;

ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიდატებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ხარჯის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;

მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა;

საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭვირვალობისა და საჯაროობის პროცესის გაგრძელება.

11.2 სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (პროგრამული კოდი 46 00)

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საერთაშორისოდ აღიარებული სამედიცინო კვლევის მეთოდების გამოყენება და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება.

ექსპერტიზის ახალი მეთოდოლოგიების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება. ბიუროს მიერ მიწოდებული სერვისების სანდოობის მაღალი ხარისხის შენარჩუნება.

12 გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

ეკონომიკური განვითარების პარალელურად, გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი გამოწვევაა და საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. მდგრადი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობა გააგრძელებს რეფორმებს, კერძოდ: საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, გაგრძელება თანამედროვე გარემოსდაცვითი პრინციპებისა და სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა. საქართველო გააგრძელებს ორმხრივი და მრავალმხრივი

გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და მდგრადი განვითარების მიზნების გარემოსდაცვითი მიმართულებების შესრულებას და მწვანე ეკონომიკის პრინციპების ხელშეწყობას; თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით გაუმჯობესდება გარემოსდაცვითი მმართველობა; ჩამოყალიბდება გამჭვირვალე პროცედურებზე დაფუძნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა. დაიხვეწება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული რისკების შემცველი საქმიანობების ჩამონათვალი. საპროექტო იდიის შემუშავების საწყის ეტაპზე შეფასდება დაგეგმილი საქმიანობის მიზანშეწონილობა, რაც ინვესტორს დაიცავს ფუჭი ფინანსური დანახარჯებისგან. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა უფრო ეფექტიანი გახდება. ქვეყნის სივრცითი მოწყობისა და ქალაქების განვითარების გეგმებს, აგრეთვე სხვადასხვა სექტორში მომზადებულ გეგმა-პროგრამებს ჩაუტარდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, სხვადასხვა მნიშვნელოვანი სექტორის განვითარების გეგმარებით პროცესში გაითვალისწინოს ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის ასპექტები; გარემოს დაზიანების პრევენციისა და აღმოფხვრის (კომპენსაციის) მიზნით ჩამოყალიბდება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემა; მოწესრიგდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისა და მოპოვების საკითხები, რათა სტიმულირებულ იქნეს ამ სფეროთი კერძო სექტორის მაქსიმალური დაინტერესება; ლიცენზირების პროცესში გათვალისწინებული იქნება ეკოლოგიური ასპექტები; სახელმწიფო შეძლებს რესურსების ეფექტიანად გამოყენება-ათვისებას; დაინერგება ახალი მარეგულირებელი ნორმები ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებისა და ბიოლოგიური რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიზნით, მათ შორის, ნადირობისა და თევზჭერის სფეროებში; სახელმწიფო უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების გაფართოებასა და ეკოტურიზმის ხელშეწყობას; ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით, დამკვიდრდება ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება-გაუმჯობესებას; კლიმატის ცვლილებით განპირობებული ბუნებრივი კატასტორფების საფრთხეების რისკების შემცირების მიზნით, გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი, გაძლიერდება მოდელირების შესაძლებლობები და დაინერგება ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა; კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში სათბურის ეფექტის მქონე აირების გაფრქვევების შესამცირებლად; გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დადგინდება თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმები და გაუმჯობესდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის აღრიცხვის სისტემა; გაგრძელდება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემაზე გადასვლა, რომელიც ეფუძნება სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებს; გაუმჯობესდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ხარისხი, შეიქმნება რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის და გარემოს დაცვას რადიაციის შესაძლო მავნე ზეგავლენისგან; გაუმჯობესდება ქიმიური ნივთიერებების მართვისა და კონტროლის მექანიზმები; გაგრძელდება და გაფართოვდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები.

12.1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 31 08)

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას, გარემოს დაზინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას.

კანონდარღვევათა ეფექტური შემაკავებელი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების სათანადო დონის მიღწევა.

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის აღსრულების მიზნით: რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის თავიდან აცილებისთვის განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების კონტროლი; გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასება ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით; გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის/ან სანაცვლო ღონისძიებების შესრულების კონტროლი.

ხე-ტყის კონტროლის გაუმჯობესება - ხე-ტყის უკანონო ჭრისა და ტრანსპორტირების ფაქტების პრევენცია.

12.2 **გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 31 01)**

ქვეყნის აგრარულ და გარემოს დაცვის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება;

აგრარული სექტორის და გარემოს დაცვის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;

2017-2021 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების შეფასება და 2022-2026 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება;

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული მცენარეთა და ცხოველთა (მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების) აღრიცხვის და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

წითელი ნუსხის მიღმა დარჩენილი ცხოველთა სახეობების მდგომარეობის შეფასება, სანადირო სახეობებად განსაზღვრისა და რიგ შემთხვევაში დაცვის უფრო ქმედითი ზომების დანერგვა;

ლენტხის მუნიციპალიტეტში სოფელ ცანას მიმდებარედ არსებული დარიშხანშემცველი ნარჩენი მასალების გაუვნებელყოფის ღონისძიებების განხორციელება.

12.2.1 **გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 31 01 01)**

აგრარული სექტორის და გარემოს დაცვის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

2017-2021 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების შეფასება და 2022-2026 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება;

სოფლის მეურნეობის განვითარების და სოფლის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმების შემუშავება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება.

12.2.2 **სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (პროგრამული კოდი 31 01 02)**

რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გატარებაში სამინისტროს ხელშეწყობა;

სამინისტროს პროგრამების შესახებ მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირება, დაინტერესებული პირებისათვის დარგის შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაცემა;

ტრენინგებისა და სწავლებებისა ორგანიზება.

- 12.2.3 **ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 31 01 03)**
ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციების მოწყობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა წარმომადგენლობითი, კულტურული და სარეკლამო აქტივობების განხორციელება.
- 12.2.4 **ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 31 01 04)**
თეთრყვავილას შერჩეულ პოპულაციებზე საბაზისო ინფორმაციის მოძიება მოპოვების ზეგავლენის დადგენის მიზნით, რომელიც რესურსის მდგრადი მოპოვების კვოტების დადგენის საშუალებას იძლევა.
შერჩეულ ცხოველთა სახეობების მონიტორინგი.
წყალმცურავი ფრინველების აღრიცხვა და მონაცემთა ანალიზი.
ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მცენარეთა სახეობების რესურსის წინასწარი შეფასება.
საქართველოში გავრცელებული უცხო ინვაზიური სახეობებისა და ქვესახეობების პოპულაციების მდგომარეობის შესწავლა.
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,298.9	5,000.0	5,500.0	5,500.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	221.0	221.0	214.0	214.0	0.0	0.0
	ხარჯები	4,277.3	4,960.0	5,450.0	5,450.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	3,299.6	4,100.0	4,400.0	4,400.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	21.6	40.0	50.0	50.0	0.0	0.0
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	3,331.4	3,500.0	4,500.0	4,500.0	0.0	0.0
	ხარჯები	3,331.4	3,500.0	4,500.0	4,500.0	0.0	0.0
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	141.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	141.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	3,802.3	4,000.0	4,050.0	4,050.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	168.0	167.0	167.0	167.0	0.0	0.0
	ხარჯები	3,764.9	4,000.0	3,955.0	3,955.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	2,101.8	1,589.0	1,640.0	1,640.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37.4	0.0	95.0	95.0	0.0	0.0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	996.2	1,000.0	1,180.0	1,180.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი			
				სულ ჯამი	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
	მომუშავეთა რიცხოვნობა	43.0	43.0	51.0	51.0	0.0	0.0
	ხარჯები	990.6	990.0	1,170.0	1,170.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	669.2	700.0	770.0	770.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.6	10.0	10.0	10.0	0.0	0.0
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,222.6	5,330.0	5,330.0	5,330.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	22.0	22.0	22.0	22.0	0.0	0.0
	ხარჯები	5,219.8	5,315.0	5,320.0	5,320.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	529.4	550.0	588.0	588.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.8	15.0	10.0	10.0	0.0	0.0
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	1,838.1	2,000.0	2,800.0	2,800.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	43.0	43.0	53.0	53.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,621.9	1,778.0	2,635.0	2,635.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	1,278.9	1,370.0	2,050.0	2,050.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	216.2	222.0	165.0	165.0	0.0	0.0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	3.0	500.0	500.0	500.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	15.0	14.0	14.0	0.0	0.0
	ხარჯები	3.0	500.0	500.0	500.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	3.0	400.0	435.0	435.0	0.0	0.0
53 00	კერძო და საჯარო თანამშრომლობის ორგანო	0.0	500.0	500.0	500.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	500.0	500.0	500.0	0.0	0.0
54 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,016,794.9	2,585,176.7	2,251,376.1	2,110,291.1	10,195.0	130,890.0
	ხარჯები	1,467,623.4	1,794,076.7	1,190,486.1	1,180,291.1	10,195.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	80,052.3	31,100.0	130,890.0	0.0	0.0	130,890.0
	ვალდებულებების კლება	469,119.2	760,000.0	930,000.0	930,000.0	0.0	0.0
54 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	664,910.9	1,015,000.0	1,230,000.0	1,230,000.0	0.0	0.0
	ხარჯები	237,482.1	290,000.0	340,000.0	340,000.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	427,428.7	725,000.0	890,000.0	890,000.0	0.0	0.0
54 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	274,075.1	295,000.0	324,000.0	324,000.0	0.0	0.0
	ხარჯები	239,075.1	260,000.0	284,000.0	284,000.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	35,000.0	35,000.0	40,000.0	40,000.0	0.0	0.0
54 03	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	8,324.4	17,000.0	9,600.0	9,600.0	0.0	0.0
	ხარჯები	8,324.4	17,000.0	9,600.0	9,600.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი			
				სულ ჯამი	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
54 04	ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	941,967.4	768,000.0	80,600.0	80,600.0	0.0	0.0
	ხარჯები	941,817.4	768,000.0	80,600.0	80,600.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	150.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
54 04 01	ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	8,500.0	8,000.0	8,000.0	8,000.0	0.0	0.0
	ხარჯები	8,500.0	8,000.0	8,000.0	8,000.0	0.0	0.0
54 04 02	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	933,467.4	760,000.0	72,600.0	72,600.0	0.0	0.0
	ხარჯები	933,317.4	760,000.0	72,600.0	72,600.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	150.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
54 05	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.0	50,000.0	50,000.0	50,000.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	50,000.0	50,000.0	50,000.0	0.0	0.0
54 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	6,690.5	20,000.0	20,000.0	20,000.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	20,000.0	20,000.0	20,000.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	6,690.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
54 07	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0.0	260,000.0	280,000.0	280,000.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	260,000.0	280,000.0	280,000.0	0.0	0.0
54 08	მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	20,000.0	20,000.0	20,000.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	20,000.0	20,000.0	20,000.0	0.0	0.0
54 09	საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	51.2	200.0	200.0	200.0	0.0	0.0
	ხარჯები	51.2	200.0	200.0	200.0	0.0	0.0
54 10	საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება	598.5	757.0	670.0	670.0	0.0	0.0
	ხარჯები	598.5	757.0	670.0	670.0	0.0	0.0
54 11	დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება	0.0	80,000.0	90,000.0	90,000.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	80,000.0	90,000.0	90,000.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი			
				სულ ჯამი	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
54 12	დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები	104,450.1	54,219.7	146,306.1	5,221.1	10,195.0	130,890.0
	ხარჯები	24,547.8	23,119.7	15,416.1	5,221.1	10,195.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	79,902.3	31,100.0	130,890.0	0.0	0.0	130,890.0
54 12 01	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა (EU, KfW)	19,275.1	19,415.0	23,550.0	2,300.0	2,850.0	18,400.0
	ხარჯები	9,972.3	9,415.0	5,150.0	2,300.0	2,850.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	9,302.9	10,000.0	18,400.0	0.0	0.0	18,400.0
54 12 02	KfW - ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - IV ფაზა (KfW)	15,291.9	21,704.7	16,956.1	2,921.1	4,345.0	9,690.0
	ხარჯები	1,551.2	11,604.7	7,266.1	2,921.1	4,345.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	13,740.7	10,100.0	9,690.0	0.0	0.0	9,690.0
54 12 03	აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD)	0.0	4,000.0	3,000.0	0.0	0.0	3,000.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	4,000.0	3,000.0	0.0	0.0	3,000.0
54 12 04	ბათუმის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD)	0.0	9,100.0	7,800.0	0.0	3,000.0	4,800.0
	ხარჯები	0.0	2,100.0	3,000.0	0.0	3,000.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	7,000.0	4,800.0	0.0	0.0	4,800.0
54 12 05	თბილისის ავტობუსების პროექტი (ფაზა II) (EBRD)	0.0	0.0	75,000.0	0.0	0.0	75,000.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	75,000.0	0.0	0.0	75,000.0
54 12 06	თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD)	0.0	0.0	20,000.0	0.0	0.0	20,000.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	20,000.0	0.0	0.0	20,000.0
54 12 07	ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისი პროექტები (GIZ)	7.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	7.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
54 12 08	KfW-ის ადგილობრივი ოფისის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება (KfW)	12.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	12.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
54 12 09	თბილისის ავტობუსების პროექტი (E5P, EBRD)	69,863.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	13,004.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	56,858.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
54 13	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0.0	5,000.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	5,000.0	0.0	0.0	0.0	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი			
				სულ ჯამი	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
54 14	ფიზიკურ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული საბანკო სესხების ეროვნულ ვალუტაში კონვერტირების ხელშეწყობის ღონისძიებები	15,726.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	15,726.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
55 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,892.5	1,800.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	38.0	35.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,866.6	1,800.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	1,338.9	1,340.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	25.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
56 00	სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო	87.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	78.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	46.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
57 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,164.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	39.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,161.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	983.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
58 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	197.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	38.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	195.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	106.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	1.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
59 00	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი"	108.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	108.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
60 00	სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი	502.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	501.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	329.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

თავი VII

ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

მუხლი 17. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერები განისაზღვროს 80 600.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

<i>ათასი ლარი</i>			
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	8,000.0		8,000.0
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	50,460.0	460.0	50,000.0
აჭარის მუნიციპალიტეტი	1,108.0	30.0	1,078.0
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	0.0		
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	0.0		
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	0.0		
ქედის მუნიციპალიტეტი	0.0		
შუახევის მუნიციპალიტეტი	0.0		
ხულოს მუნიციპალიტეტი	0.0		
ანმეტის მუნიციპალიტეტი	135.0	135.0	
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	160.0	160.0	
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	185.0	185.0	
თელავის მუნიციპალიტეტი	285.0	285.0	
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	220.0	220.0	
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	210.0	210.0	
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	145.0	145.0	
ყვარლის მუნიციპალიტეტი	135.0	135.0	
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	235.0	235.0	
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	232.0	232.0	
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	2,050.0	150.0	1,900.0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	170.0	170.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	128.0	128.0	
ვანის მუნიციპალიტეტი	145.0	145.0	
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	240.0	240.0	
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	160.0	160.0	
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	187.0	187.0	
საჩხერის მუნიციპალიტეტი	190.0	190.0	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	138.0	138.0	
ხონის მუნიციპალიტეტი	160.0	160.0	
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	260.0	260.0	
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	350.0	350.0	
აბაშის მუნიციპალიტეტი	147.0	147.0	
მარტვილის მუნიციპალიტეტი	155.0	155.0	
მესტიის მუნიციპალიტეტი	125.0	125.0	
სენაკის მუნიციპალიტეტი	195.0	195.0	
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	172.0	172.0	
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	183.0	183.0	
ხოზის მუნიციპალიტეტი	210.0	210.0	
გორის მუნიციპალიტეტი	303.0	303.0	
ქუთისის მუნიციპალიტეტი	2,125.0	90.0	2,035.0
ერედვის მუნიციპალიტეტი	1,970.0	45.0	1,925.0
კასპის მუნიციპალიტეტი	175.0	175.0	
ქარელის მუნიციპალიტეტი	213.0	213.0	
თიღვის მუნიციპალიტეტი	1,566.0	30.0	1,536.0
ხაშურის მუნიციპალიტეტი	225.0	225.0	
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	500.0	500.0	
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	305.0	305.0	
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	260.0	260.0	
დმანისის მუნიციპალიტეტი	130.0	130.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	217.0	217.0	
მარნეულის მუნიციპალიტეტი	250.0	250.0	
წალკის მუნიციპალიტეტი	109.0	109.0	
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	220.0	220.0	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	253.0	253.0	
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	183.0	183.0	
ადიგენის მუნიციპალიტეტი	137.0	137.0	
ასპინძის მუნიციპალიტეტი	126.0	126.0	
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	215.0	215.0	
ახალციხის მუნიციპალიტეტი	270.0	270.0	
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	190.0	190.0	
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	165.0	165.0	
ახალგორის მუნიციპალიტეტი	2,416.0	90.0	2,326.0
დუშეთის მუნიციპალიტეტი	107.0	107.0	
თიანეთის მუნიციპალიტეტი	136.0	136.0	
მცხეთის მუნიციპალიტეტი	368.0	368.0	
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	85.0	85.0	
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	140.0	140.0	
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	105.0	105.0	
ონის მუნიციპალიტეტი	103.0	103.0	
ცაგერის მუნიციპალიტეტი	158.0	158.0	
სულ	80,600.0	11,800.0	68,800.0

შენიშვნა (*): დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება. გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილებებისა, 2019 წელს შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტებისთვის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების (25 07 - ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია) და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირება (32 02 11 - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა).

მუხლი 18. მუნიციპალიტეტის კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების წესი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 71-ე და 114⁵-ე მუხლების შესაბამისად თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული მაჩვენებელი განისაზღვროს ცხრილის შესაბამისად:

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული განაწილება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	50.01%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	5.07%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	0.98%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	0.68%
ქედის მუნიციპალიტეტი	0.65%
შუახევის მუნიციპალიტეტი	0.03%
ხულოს მუნიციპალიტეტი	0.23%
ახმეტის მუნიციპალიტეტი	0.70%
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	0.91%
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	0.15%
თელავის მუნიციპალიტეტი	1.42%
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	0.93%
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	0.83%
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0.40%
ყვარლის მუნიციპალიტეტი	0.43%
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	3.48%
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	0.79%
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0.38%
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	0.83%
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0.54%
ვანის მუნიციპალიტეტი	0.67%
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	0.93%
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0.81%
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	0.74%
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1.03%
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0.52%
ხონის მუნიციპალიტეტი	0.69%
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	0.36%
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2.42%
აბაშის მუნიციპალიტეტი	0.57%
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0.80%
მესტიის მუნიციპალიტეტი	0.35%
სენაკის მუნიციპალიტეტი	0.69%
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0.55%
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0.63%
ხობის მუნიციპალიტეტი	0.34%
გორის მუნიციპალიტეტი	3.01%
კასპის მუნიციპალიტეტი	0.60%
ქარელის მუნიციპალიტეტი	0.95%

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული განაწილება
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1.04%
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	2.28%
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0.09%
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0.20%
დმანისის მუნიციპალიტეტი	0.52%
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	0.53%
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1.23%
წალკის მუნიციპალიტეტი	0.15%
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0.74%
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1.41%
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0.32%
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0.45%
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0.07%
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0.07%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	0.91%
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0.10%
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0.29%
დუშეთის მუნიციპალიტეტი	0.51%
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0.44%
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0.44%
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0.01%
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0.73%
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0.36%
ონის მუნიციპალიტეტი	0.39%
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0.62%

თავი VIII
მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 19. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების განკარგვა

ამ კანონით დამტკიცებული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების – „54 01 – საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „54 02 – საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „54 03 – საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები“, „54 04 – ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები“, „54 09 – საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა“, „54 10 – საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება“ და „54 12 – დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები“ – საბიუჯეტო სახსრების განკარგვა განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

მუხლი 20. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი 50 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 280 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში საქართველოს მთავრობა ამტკიცებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ და მისი განკარგვის წესს.

4. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეული მუნიციპალური და რეგიონული პროექტების დასაფინანსებლად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხა გამოიყოფა მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსების შემთხვევაში.

5. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი განისაზღვროს 20 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განისაზღვროს 20 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იძულებით ჩამოჭრილი თანხები ასახოს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდით გათვალისწინებულ ასიგნებებში.

7. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ან/და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე წინადადებებს საბიუჯეტო ორგანიზაციების, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ან საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 21. დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება

ამ კანონით დამტკიცებული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების – „54 11 - დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება“ პროგრამული კოდის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 22. დავალიანებების დაფარვა

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2019 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 23. სახელმწიფო ვალი

1. სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1 230 000.0 ათასი ლარი:

ა) ძირითადი თანხის დაფარვა – 890 000.0 ათასი ლარი, მათ შორის:

ა.ა) ორმხრივი კრედიტებისათვის – 225 000.0 ათასი ლარი;

ა.ბ) მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 665 000.0 ათასი ლარი;

ბ) პროცენტის გადახდა – 340 000 ათასი ლარი, მათ შორის:

ბ.ა) ორმხრივი კრედიტებისათვის – 57 720.0 ათასი ლარი;

ბ.ბ) მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 194 800.0 ათასი ლარი;

ბ.გ) სახელმწიფოს მიერ საგარეო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებების მომსახურებისათვის – 87 480.0 ათასი ლარი.

2. უფლება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამ კანონით საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, კრედიტორი ქვეყნის მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით, განახორციელოს საქართველოს იურიდიული პირებისათვის აღნიშნული სახსრებიდან თანხების ანაზღაურება ან შესაბამისი პროგრამების დაფინანსება ამ იურიდიული პირების მიერ კრედიტორი ქვეყნისათვის საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისათვის და მომსახურების გაწევისათვის.

3. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასახდელი პროცენტის მოცულობა განისაზღვროს 35 350.0 ათასი ლარით (დაზუსტდება საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე), ხოლო დასაფარავი ძირითადი თანხის მოცულობა – 40 000.0 ათასი ლარით.

4. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 15 მარტს გამოშვებული 280 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება და 40 000.0 ათასი ლარის ფასიანი ქაღალდების გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის.

5. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს არაუმეტეს 500 000.0 ათასი ლარის ზრდით. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვება განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების დაფარვის აღრიცხვა განახორციელოს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი მუხლის შემცირებით.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების ნაცვლად გამოიყენოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთი. ამასთანავე, სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრების წმინდა მოცულობა და მათი გამოშვების ნაცვლად ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 500 000.0 ათას ლარს.

მუხლი 24. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის განმკარგავ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

2. 2019 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნებისათვის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1000 ლარის ოდენობით.

3. 2019 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

4. 2019 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მათთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით, არაუმეტეს იმავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნების გაზრდაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები.

მუხლი 25. ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობის შეზღუდვა

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ფუნქციების შესრულების მიზნით შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული შეზღუდვიდან გამონაკლისი სახელმწიფო ბიუჯეტის საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით; მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, გარდა ქ. თბილისისა, განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ხოლო ქ. თბილისის და ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებებში განისაზღვრება შესაბამის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმებით.

3. არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საჭიროებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებთან შეთანხმებას იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებაში 30 დღეზე მეტი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობა აღემატება შტატით გათვალისწინებულ ფაქტიურად დასაქმებულთა რიცხოვნობის 1%-ს, ხოლო იმ ორგანიზაციებში სადაც საშტატო რიცხოვნობის 1% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, შეთანხმებას საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა, რომელიც 5 ერთეულზე მეტია;

მუხლი 26. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები და შეზღუდვები

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრების დაცვის მიზნით და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹-ე მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების გათვალისწინებით:

ა) საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეაჩეროს საქართველოს სამინისტროებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში გადახდის განხორციელება საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდებისა და მუხლების მიხედვით.

ბ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული წესით წლიური ბიუჯეტის დაზუსტებისას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტებისათვის გათვალისწინებული გადასახდელების მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ცვლილება დაკავშირებულია ამავე საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის განხორციელებასთან.

გ) საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV) კოდების მიხედვით კლასიფიკატორის კოდები, რომელთა ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას საჭიროებს.

დ) საქართველოს სამინისტროებმა ყოველი კვარტლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ კანონით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის და ამ ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე.

ე) საქართველოს სამინისტროებს მიეცეთ უფლება ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომია მიმართონ ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას წარუდგენს ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია იმავე პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის ან მისი ნაწილის მიმართვა ამ კანონით გათვალისწინებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 27. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შემოსულობათა ხარჯვა

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების ხარჯვა განხორციელდეს ადგილზე, შესაბამისი წარმომადგენლობისა და დაწესებულებისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 28. საქართველოს პარლამენტის მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება

უფლება მიეცეს საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ამ კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში დააფინანსოს დაკრძალვასთან და სასაფლაოს მოწყობასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება.

მუხლი 29. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება

1. უფლება მიეცეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, 2018 წელს „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებებით შესრულებული სამუშაოების დაფინანსება, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, განხორციელოს ამ კანონით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევაში და დაწესებული ლიმიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების (ერთეულების) მიერ შესასყიდ საქონელზე, სამუშაოსა და მომსახურებაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის იმავე აქტით განსაზღვრული სტრუქტურული ქვედანაყოფები (ერთეულები) ითვლებიან შემსყიდველ ორგანიზაციებად და აქვთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

მუხლი 30. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. ამ კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

სისტემაში განსახორციელებელ ცალკეულ ღონისძიებებში გაგრძელდეს და, აუცილებლობის შემთხვევაში, შემოდებულ იქნეს ღონისძიებათა ნაწილის ანაზღაურება მოსახლეობის მიერ თანაგადახდის პრინციპით. თანაგადახდის წესს, ფორმასა და მოცულობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. ამ კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამებისათვის – „მოსახლეობის სოციალური დაცვა“, „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“, „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა და კონტროლი“, „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი“, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“, „შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა“ – გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა დაფინანსების, თანადაფინანსების, ანგარიშსწორების წესებსა და ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის“ ფარგლებში გაიცეს სახელმწიფო პენსია და სახელმწიფო კომპენსაცია.

4. ასაკით პენსიონერისათვის სახელმწიფო პენსიის ოდენობა განისაზღვროს 200 ლარით.

5. „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების“ ფარგლებში:

ა) გაიცეს „სოციალური პაკეტი“ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული წესითა და პირობებით;

ბ) გაიცეს საყოფაცხოვრებო სუბსიდია „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების შესაბამისად;

გ) გაგრძელდეს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით გათვალისწინებული „სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელების ძირითადი პრინციპები, რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა, მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობა, სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობა, სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშების, ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების, აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ყოველთვიური შემწეობის დაფინანსების წესი“ შესაბამისად.

დ) გაგრძელდეს დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების გაცემა: ერთ დევნილზე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა განისაზღვროს 45 ლარით;

ე) გაგრძელდეს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებების გაცემა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით;

ვ) დაფინანსდეს დახმარება შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული წესითა და პირობებით;

ზ) დაფინანსდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ღონისძიება;

თ) დაფინანსდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა ღონისძიებები.

6. უფლება მიეცეს საქართველოს მთავრობას, განსაზღვროს 2018 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ის სახელმწიფო პროგრამები/მათი ღონისძიებები/მოცულობები, რომელთა განხორციელებაც უწყვეტად გაგრძელდება 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2019 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე და ამ პროგრამებით გათვალისწინებული მიმწოდებლების გამოვლენამდე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ან ვაუჭერის პირობების გათვალისწინებით.

7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და მათი კომპონენტების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჭერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე გაგრძელდეს 2018 წლის შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ის ღონისძიებები, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, და ხელშეკრულებები გაფორმდეს იმავე მიმწოდებლებთან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ იქნა განსაზღვრული; ამასთანავე, აღნიშნულის შესახებ ეცნობოთ საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 2018 წელს შესრულებული სამუშაოები დაფინანსდეს ამ კანონით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან.

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 2018 წელს გაცემული ვაუჩერები (შესაბამისი ვაუჩერის პირობების გათვალისწინებით) და „რევერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის“ კომპონენტის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ვერ დაფინანსდა 2018 წელს, დაფინანსდეს ამ კანონით შესაბამისი პროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

10. ამ კანონით დამტკიცებული პროგრამული კოდის „27 03 02 02 – იმუნიზაცია“ ფარგლებში ვაქცინების, შპრიცების, მალარიის სამკურნალო მედიკამენტებისა და ცივი ჯაჭვის აღჭურვილობების შესყიდვა განხორციელდეს გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, გამარტივებული შესყიდვით, ხოლო იმ ვაქცინების, შპრიცების, მალარიის სამკურნალო მედიკამენტების და ცივი ჯაჭვის აღჭურვილობების შესყიდვა, რომელთა შესყიდვაც ვერ ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

11. ამ კანონით დამტკიცებული პროგრამული კოდის „27 03 02 06 – ტუბერკულოზის მართვა“ ფარგლებში, მათ შორის „საქართველოში ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის მდგრადობის პროგრამის“ (GEO-T-NCDC) ღონისძიებებისათვის და პროგრამული კოდის „27 03 02 07 – აივ ინფექცია/შიდსის მართვა“ ფარგლებში, მათ შორის „საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის პროგრამის“ (GEO-H-NCDC) ღონისძიებებისთვის ფარმაცევტული და სხვა სამედიცინო დანიშნულების საქონლის შესყიდვა, მათ შორის, აივ ინფექცია/შიდსის და ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის და მეორე რიგის მედიკამენტების შეძენა ამ კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, გახორციელდეს აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ განსაზღვრული გაერთიანებული საერთაშორისო შესყიდვების მექანიზმისა და აგენტების, მათ შორის შესყიდვის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით; ხოლო იმ ფარმაცევტული და სხვა სამედიცინო დანიშნულების საქონლის შესყიდვა, რომელთა შესყიდვაც ვერ ხორციელდება აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ განსაზღვრული გაერთიანებული საერთაშორისო შესყიდვის მექანიზმისა და აგენტების საშუალებით, – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

12. ამ კანონით დამტკიცებული პროგრამული კოდის 27 03 02 06 – „ტუბერკულოზის მართვა“ ფარგლებში საქართველოს მოქალაქეები ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის რეჟიმის დაცვაში ხელშეწყობის მიზნით, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის რეჟიმის დაცვის შემთხვევაში, ამბულატორიული მკურნალობის მთელი კურსის განმავლობაში იღებენ სოციალურ დახმარებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სასწრაფო დახმარების ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები დაფინანსდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართობის (სადაც დევნილი სახელმწიფოს მიერ იქნა განსაზღვრული და რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული იყო, როგორც დევნილთა კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ობიექტი, ასევე სადაც სამინისტრო ახორციელებდა ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების (მათ შორის, ობიექტებში განსახლებულ დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა მიერ მოხმარებული წყლის, ნარჩენების გატანის, ასენიზაციისა და დეზინფექცია-დერატიზაციის,

განსახლების ობიექტებში მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთების სხვა ხარჯები) ანაზღაურებას) ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება ერთ დევილზე განისაზღვროს თვეში 2 ლარით. აღნიშნული დაფინანსება განხორციელდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად. ხელშეკრულების პირობებს და მის გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციას ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მუხლი 31. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯაღმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე ის სოფლები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის (აბონენტებისათვის) ბუნებრივი აირის მოხმარებაზე 2018 წლის 1 დეკემბრიდან 2019 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2019 წლის 15 ოქტომბრიდან 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში განისაზღვროს შეღავათი თითოეულ აბონენტზე თვეში 700 მ3-ის (მაისსა და ოქტომბერში – 350 მ3-ის) ოდენობით. ამასთანავე, აბონენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული პერიოდების შესაბამის საანგარიშო თვეში გამოუყენებელი შეღავათით ისარგებლონ მომდევნო თვეში, კერძოდ, 2018 წლის 1 დეკემბრიდან გამოუყენებელი შეღავათი გამოყენებულ იქნეს 2019 წლის 15 მაისის ჩათვლით პერიოდში, ხოლო რიცხული შეღავათი გაუქმდეს 2019 წლის 16 მაისს, 2019 წლის 15 ოქტომბრიდან გამოუყენებელი შეღავათი გამოყენებულ იქნეს 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით პერიოდში, ხოლო რიცხული შეღავათი გაუქმდეს 2020 წლის 16 მაისს.

2. ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანია ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შეღავათით მოსარგებლე აბონენტების სააღრიცხვო ბარათებზე ყოველი თვის დასაწყისში ასახოს შეღავათის შესაბამისი ლიმიტი და შესაბამის საანგარიშო პერიოდში გამოუყენებელი შეღავათი.

3. ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი და მუნიციპალიტეტების გამგებების მიერ სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი ანგარიშების მიხედვით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ანაზღაუროს 2018 წლის 1 დეკემბრიდან 2019 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2019 წლის 15 ოქტომბრიდან 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯაღმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე ის სოფლები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის (აბონენტების) მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ლიმიტის და შესაბამის საანგარიშო პერიოდში გამოუყენებელი შეღავათის ფარგლებში ფაქტობრივად მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება.

მუხლი 32. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

2019 წლის განმავლობაში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ამ კანონით ადმინისტრაციისათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე გასცეს ერთჯერადი დახმარებები.

მუხლი 33. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

უფლება მიეცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, პროგრამული კოდის 26 02 02 - „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა“ ფარგლებში 2018 წელს მიღებული საქონლისა და მომსახურების დაფინანსება განსახორციელოს ამ კანონით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან.

მუხლი 34. საქართველოს საერთო სასამართლოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

ამ კანონის მე-16 მუხლით საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა არ ზღუდავს კანონით დადგენილი წესით საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეების და მათთან დაკავშირებული თანამშრომლების (თანაშემწე, რეფერენტი და სხვა) დანიშვნას.

მუხლი 35. ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს დაევალოთ მათ მიერ 2019 წელს მობილიზებული კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების არანაკლებ 10%-ის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესრულების მიზნით შესაბამისმა უწყებებმა სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მიმართვა განახორციელონ ყოველი კვარტლის ბოლო სამუშაო დღეს, გადარიცხვის დღისათვის კვარტალში მიღებული შემოსავლის არანაკლებ 10%-ის ოდენობით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული დებულებები არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიღებულ გრანტებზე, ასევე იმ შემოსავლებზე, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი იღებს კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემაში შემავალი სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან.

თავი IX
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 36. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს 2017 წლის 13 დეკემბრის კანონი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 22.12.2017, სარეგისტრაციო კოდი: 190020010.05.001.018695).

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,
2018 წლის დეკემბერი
N